645/
1989/2

ISSN 0821-1509

9
1989

ISSP Newsletter

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС ҚАЛИ»
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი გურგენიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ნინო ფშანია, ციცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეფიტული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯაფახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუაია

მარეკანის პირველ გვერდზე — ექვსი შვილის დედა მარინე სვანიძე: ფოტო დავით იაკობაშვილის; მეოთხეზე — მოდა. ფოტო ჯაბარ ლომაძის.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.

ქალის

საბჭოთა სასკოლო-განათლების უმთავრესი ნაკლია მისი ერთსახოვნება, შინაარსისა და ფორმის მკაცრი სტერეოტიპულობა. ამას ისიც დაემატა, რომ ქვეყანაში კანონით შემოიღეს, როგორც სოციალური სიკეთე, საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლება, რომელმაც სასკოლო სწავლა ფაქტობრივად, „აკადემიურ ბეგარად“ აქცია.

შეცდომა ჯერ კიდევ მაშინ იქნა დაშვებული, როცა საბჭოთა სკოლა განისაზღვრა როგორც ერთიანი, შრომითი, პოლიტექნიკური, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. შემდგომში, ეკონომიკური უსუსურობის გამო, ვერ იქნა უზრუნველყოფილი სკოლის შრომითი და პოლიტექნიკური შინაარსის რეალიზება და დაგვრჩა ერთიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. ამ ერთიანობას ათწლეულების განმავლობაში განამტკიცებდა ათასობით ბრძანება და ინსტრუქცია, რომლებიც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ცენტრიდან.

აქ არაბუნებრივი და საოცარი არაფერია. მკაცრად ცენტრალიზებულ სახელმწიფოში პლურალიზმი უარყოფილი იყო, არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, ცხადია, განათლების დარგშიც. მართალია, ორმოციანი წლების დამდეგს საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლებიც ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს გამოწვეული იყო არა განათლების სისტემაში სტრუქტურული ცვლილების შეტანის მიზნით, არამედ მუშათა კადრების მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საუცილებლობით.

დიდი სიბრძნე არ არის საჭირო იმის მისახვედრად, თუ როგორი საგანმანათლებლო ეფექტი ექნებოდა ერთიან, სტანდარტული ტიპის სკოლას დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმულ სახელმწიფოში, სადაც სოციალური განვითარებით, კულტურითა და რელიგიით ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ერები ცხოვრობენ. ცენტრში შედგენილი სტანდარტული სასწავლო თუ აღმზრდელობითი მუშაობის პროგრამები სულაც არ ითვალისწინებენ ეროვნულ ხასიათსა და ტრადიციებს, ენობრივ თავისებურებებსა და ისტორიულ საგანმანათლებლო ტრადიციებს. არ ითვალისწინე-

პუსტიონი

1929

(ფიქრები ქართული ეროვნული სკოლის მომავალზე)

ბენ იმიტომ, რომ საბჭოთა საგანმანათლებლო დოქტრინა მიზნად ისახავს „ახალი, საბჭოთა ადამიანის აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე".

„ახალი, საბჭოთა ადამიანის აღზრდის" აბსტრაქტულმა ცნებამ დაამკვიდრა სასკოლო განათლებაში ნიველირების ის ტოტალური პრაქტიკა, რამაც, საბოლოოდ, შინაარსი გამოაცალა „ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდის" სავსებით სწორ და ჰუმანურ პედაგოგიურ პრინციპს.

რაც შეეხება, ერთი შეხედვით თითქოსდა დიდ სოციალურ სიკეთეს — სავალდებულო საშუალო განათლების სახელმწიფოებრივ მოთხოვნას, ამან არა მარტო ხელი ვერ შეუწყო მთელი საბჭოთა მოსახლეობის საგანმანათლებლო-კულტურული დონის ამაღლებას, არამედ დიდად შეუშალა ხელი ნიჭიერ ინდივიდთა ყოველმხრივ განვითარებას და ძირს დასცა სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტი. მეტიც, მან სახელი გაუტეხა ყველაზე ადამიანურ სიკეთეს — ცოდნას. ეს უბრალოდ აიხსნება: თუ საშუალო განათლება სავალდებულოა, მაშინ ნებისმიერ მოზარდს აქვს სიმწიფის ატესტატის მიღების არა მარტო შანსი (რომელიც მართლაც უნდა ჰქონდეს), არამედ გარანტიაც.

რეალურად ეს აბსურდამდე მიდის. თვით ერთი დედ-მამის შვილებიც კი ერთობ განსხვავებული ნიჭისა და უნარის ბავშვები არიან, რომელთა ურთიერთგანსხვავება ვერაფრით ეტევა ხუთბალიანი (სინამდვილეში კი ოთხბალიანი) შეფასების სისტემაში. აბა როგორღა მოიყრის თავს ასეთ ჩარჩოში ყველა მოზარდი ჩუკოტკიდან პრუსიამდე, ერევნიდან არხანგელსკამდე?

ეროვნული სუვერენიტეტის პერსპექტივამ დღის წესრიგში დააყენა ახალი სასკოლო განათლების სისტემის შექმნის პრობლემა. დღეს ეს პრობლემა „ეროვნული სკოლის" კონცეფციის შემუშავების მოთხოვნით გამოიხატება.

გვქონდა თუ არა დღემდე ეროვნული ქართული სკოლა? ამ კითხვას იმიტომ ვსვამ, რომ ახლა ხშირად ამბობენ: ჩვენ გვაქვს ქართულენოვანი სკოლა,

ახალი სკოლა დიდ დღლომში

მაგრამ ქართული ეროვნული სკოლა არ გაგვაჩნიაო. ეს ნაწილობრივ არის მართალი. ქართულენოვანი სკოლა შეიძლება არ იყოს ქართული ეროვნული სკოლა. მაგრამ ჩვენი დიდი საგანმანათლებლო ტრადიციები, განსაკუთრებით დაწყებითი სკოლისა, იმდენად მნიშვნელოვანი და ძლიერია, რომ გვაქვს ქართული ეროვნული სკოლა. ასე რომ არ იყოს, მაშინ არც ქართული ეროვნული უნივერსიტეტი გვექნებოდა (ისე კი, საერთოდ, რესპუბლიკა რამდენადაც სუვერენულია, იმდენად აქვს ეროვნული სკოლა). ამით დიდად განვსხვავდებით ბევრი სხვა მოკავშირე რესპუბლიკისაგან.

სხვა საქმეა იმაზე მსჯელობა, როგორი უნდა იყოს ქართული ეროვნული სკოლა მომავალში, რა გზით უნდა განვითარდეს, საერთოდ, სახალხო განათლების მთელი სისტემა.

ჩემი რწმენით, საშუალო განათლების ის შინაარსობრივი და სტრუქტურული მოდელი, რომელიც საბჭოთა საგანმანათლებლო პრაქტიკაში ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბდა, ჩვენთვის საბომავლოდ მიუღებელია. იგი მიუღებელი იქნება სხვებისთვისაც, რადგან სკოლას, განათლებას, ერთნაირი სოციალური დაკვეთა აქვს საქართველოშიც და ესტონეთშიც, უზბეკეთშიც და გერმანიაშიც. ჩვენი ახლანდელი სკოლა კი სახოგადოების სოციალურ დაკვეთას ვერ ასრულებს.

ეროვნული ქართული სკოლის კონცეფცია რომ ჩამოვაყალიბოთ, საჭირო როდია აუცილებლად ხელახლა გამოვიგონოთ ბორბალი. ის, რისი გადმოლება შეიძლება და რაც ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეესაბამება, უნდა გადმოვიღოთ და ვისწავლოთ. ამ აზრით, მიმაჩნია, რომ პირველ ყოვლისა გვჭირდება განათლების სისტემის დემოკრატიზაცია, რომლის დიდი გამოცდილება აქვთ დასავლეთის ქვეყნებს.

პედაგოგიკის ზოგიერთ „თეორეტიკოსს" ჯიუტად არ სურს ჭეშმარიტი აზრით გაიგოს საგანმანათლებლო სისტემის დემოკრატიზაციის მოთხოვნა.

საქ. სსრ ... მარქსის
სახ. სახ. ...
გ. ...

განათლების სისტემის დემოკრატიზაცია პირველ ყოვლისა სკოლების მრავალვარიანტულობას ნიშნავს.

რა სოციალურ-პედაგოგიურ საფუძვლებს ემყარება მრავალვარიანტული სკოლა და, საერთოდაც, როგორ წარმოგვიდგენია იგი?

მრავალვარიანტული სასკოლო განათლების სისტემა ემყარება მოზარდთა ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობათა არაერთგვაროვნების გათვალისწინების პედაგოგიურ პრინციპს. ბავშვები, როგორც ცნობილია, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნიჭიერებით, უნარიანობით, ფსიქო-ფიზიკური მონაცემებით, ინტერესებით. ამიტომ, მოსწავლეთა მთელი კონტინგენტი გარკვეული ინტეგრალური თვისებების მიხედვით უნდა დაჯგუფდეს სხვადასხვა აკადემიური ორიენტაციების მქონე ჯგუფებში. განვითარების რომელ ეტაპზე უნდა განხორციელდეს ეს? ამაზე ერმანშენელოვანი პასუხის გაცემა ძნელია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს საამისოდ სრულიად განსხვავებული გამოცდილება აქვთ: ზოგან პირველი კლასიდანვე ხდება მოსწავლეთა დიფერენციება განსხვავებულ მიმართულებათა სკოლებში, სხვაგან ამას დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ აკეთებენ, ჩვენში საამისოდ ოპტიმალურ პერიოდად ჯერჯერობით მეცხრე კლასია მიჩნეული და ა. შ. მისაღები ვარიანტის დადგენას სერიოზული პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური და სოციალური კვლევაძიება სჭირდება.

როცა სკოლების ვარიანტულობაზეა საუბარი, აუცილებელია გაირკვეს რა იგულისხმება ვარიანტულობაში. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ჩვენში მრავალვარიანტულობის ცნებაში მეტწილად ზოგადი საშუალო განათლების ერთნაირ დონეს გულისხმობენ — ერთნაირი განათლება ყველა ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში, სწავლების ერთნაირი ვადები, მხოლოდ გარკვეული პროფილისა თუ რომელიმე საგნის მნიშვნელოვანი გაძლიერებით. ამგვარი პრაქტიკა კიდეც ხორციელდება. ყოველივე ეს პრინციპულად ეწინააღმდეგება მრავალვარიანტული სკოლის იდეას, ამ მხრივ დაგროვილ საკაცობრიო გამოცდილებას და არსებითად ვერ ცვლის (თუ არ აძლიერებს) სავალდებულო საშუალო განათლების კანონით განმტკიცებულ „ბეგარას".

სკოლის ვარიანტულობა ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის სპეციფიკის შესაბამისი უნდა იყოს და ზუსტად ითვალისწინებდეს ქვეყნის განვითარების სოციალურ-პოლიტიკურ პერსპექტივებს. სკოლის თითოეული ვარიანტის სწავლების შინაარსი ურთიერთგანსხვავებული იქნება არა მარტო საპროგრამო მასალის მოცულობითა და სირთულით, არამედ საგანმანათლებლო მიზანდასახულობითაც. ეს საჭიროა იმისათვის, რომ თითოეული ტიპის სკოლის კურსდამთავრებულს განსაზღვრული სოციალური სტატუსი ჰქონდეს.

განსაზღვრული სოციალური სტატუსის ხსენებამ შეიძლება ზოგიერთი შეაშფოთოს კიდეც. განა დემოკრატიული იქნება განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე საბოლოო განაჩენი გამოვუტანოთ მოზარდის აკადემიურ შესაძლებლობებს? ხომ შეიძლება, 15—16 წლის მოზარდმა, მას შემდეგ, რაც იგი გარკვეული ტიპის სკოლას დაამთავრებს, ისეთი ნიჭი და უნარი გამოავლინოს, რასაც ადრე არ მოველოდით? ასეთი შიშის საფუძველი არ არის. სკოლის კურსდამთავრებულის განსაზღვრული სოციალური სტატუსი არ ნიშნავს განათლების ცალკეულ რგოლებს შორის მემკვიდრეობითობის მოშლას და უწყვეტი განათლების იერარქიულ პრინციპზე უარის თქმას. დემოკრატიული საგანმანათლებლო სისტემა ყველას მისცემს ნებისმიერ დონეზე სწავლის განგრძობის უფლებას, მაგრამ ძალდატანებით როდი უბიძგებს მას სწავლების ამა თუ იმ საფეხურისაკენ, როგორც ამას დღევანდელი სკოლა სჩადის.

დანინაურებული ქვეყნების საგანმანათლებო გამოცდილებას ჩვენი ეროვნული ინტერესების შესაბამისი ტრანსფორმაციით თუ წარმოვიდგენთ, მომავლის სკოლის სტრუქტურა და ვარიანტულობა ასე მესახება:

უპირველეს ყოვლისა ორიოდე სიტყვა დაწყებით სკოლაზე.

ჩემი რწმენით, სასკოლო განათლების მრავალვარიანტულობა დაწყებითი სკოლის ერთიან სისტემას უნდა დაეფუძნოს. ქართულ დაწყებით სკოლას დიდი ეროვნული ტრადიციები და ისტორიულად უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები აქვს. განათება თავისი ბუნებით, საერთოდ, ინტერნაციონალურია, მაგრამ დაწყებით სკოლას თვისებრივად განსხვავებული ფუნქცია აკისრია. იგი იმდენად სასწავლო დანესებულება არ არის, რამდენადაც აღმზრდელობითია. სწორედ მან „ეროვნულ ნიადაგზე უნდა გაუწურთნოს გულისყური" მოსწავლეს და მოამზადოს სისტემური ცოდნის ათვისებისათვის.

დაწყებითი სკოლის განმავითარებელი ფუნქცია იმას გულისხმობს, რომ მის კედლებში ყალიბდება ბავშვის ეროვნული ვინაობის შეგნება, სწავლის, ცოდნის ათვისების მოტივები, ვლინდება და ვითარდება ნიჭი და უნარ-ჩვევები, შემეცნებითი ორიენტაციები.

მიმაჩნია, რომ დაწყებითი სკოლა (I—IV კლ.) ორგანიზაციულად დამოუკიდებელ სასწავლო დანესებულებად უნდა იქცეს.

დაწყებითი სკოლის შემდგომი საფეხური უკვე მრავალვარიანტული იქნება. ეს საფეხური ექვსწლიან ციკლად მაქვს წარმოდგენილი, იმ ანგარიშით, რომ ნებისმიერი ვარიანტის სკოლაში მოზარდი აუცილებლად უნდა სწავლობდეს 16 წლის ასაკამდე. რამდენი ტიპის სკოლა უნდა არსებობდეს ამ საფეხურზე? ამის განსაზღვრის უფლებას თავს ვერ მივცემ, მაგრამ დიფერენციერების ძირითად მიმართულებებს კი დავასახელებ: განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეთა საგნობრივი პროფილის სკოლები (ფიზიკა-მათემატიკური, მუსიკალური, სამხატვრო), სამეურნეო-კომერციული და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები.

სამეურნეო-კომერციული და პროფესიულ-ტექნიკური სკოლების კურსდამთავრებულები მზად უნდა იყვნენ დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის, განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეთა საგნობრივი პროფილის სკოლის დამთავრების შემდეგ კი აუცილებელია შემდგომ საფეხურზე (გიმნაზიაში ან კოლეჯში) სწავლის განგრძობა.

საშუალო განათლების შემდგომ საფეხურზე წარმოდგენილი მაქვს აგრეთვე რამდენიმე ტიპის სასწავლებელი: გიმნაზია, სამეურნეო-ტექნიკური კოლეჯი, პროფესიული ლიცეუმი. ამ ტიპის სასწავლებლებში სწავლების ვადა სამ წლამდე უნდა ვივარაუდოთ, რომლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს უფლება ექნებათ სწავლა განაგრძონ პროფილის შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში. რა თქმა უნდა, სათანადო ციკლის საგნების ექსტერნად ჩაბარების შემთხვევაში, ყველას უნდა ქონდეს შესაძლებლობა შეიცვალოს სნავლების პროფილი.

ალბათ, საჭირო არ არის იმაზე მსჯელობა, რომ ეროვნულ სკოლაში ჰუმანიტარული ციკლის დისციპლინები მიმართული უნდა იყოს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება-განმტკიცებისა და საკაცობრიო კულტურაში ჩვენი ადგილისა და როლის გაგრძელებისაკენ.

ეროვნული სკოლის კონცეფციაში საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს აღზრდის სისტემას. საყურნალო სტატია არ იძლევა ამ პრობლემაზე ვრცლად შეჩერების საშუალებას. მოკლედ ვიტყვი: აღზრდის პროცესი ეროვნულ ტრადიციებსა და ქრისტიანულ მორალს უნდა დაეფუძნოს. კოლექტივის აღზრდის აწინდელი პრინციპი უნდა შეიცვალოს პიროვნების აღზრდის პრინციპით. ამიტომაც, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია სკოლის ფარგლებში მოსწავლეთა მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციების არსებობა. იგი მთლიანად უნდა შეცვალოს საკლუბო და საწრეო მუშაობამ.

ასეთია, მოკლედ, ჩვენი წარმოდგენები აწინდელ და მომავალ ქართულ სკოლაზე. ამასთან, სხვა დროს ნათქვამს აქაც გავიმეორებ: ეროვნული ქართული სკოლა მოწინავე სახელმძღვანელოებით, მეთოდებით, სწავლების ულტრათანამედროვე საშუალებებით აღჭურვილი სკოლა უნდა იყოს, რომელიც ჭეშმარიტად ერის ბასტიონად იქცევა.

ზურაბ ცუცქირიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

2 VIII 1989 წ. № 396

სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მრავალშვილიანი ოჯახების სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი მათი ჩასახლების ადგილზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ რაიონებში 2288 მრავალშვილიანი ოჯახია, მათ შორის 1548 ხუთი და მეტშვილიანი. ბავშვთა შორის 4085 — სასკოლო ასაკისაა, რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი ახალ საცხოვრებელ ადგილას ჩასახლებელია. ასევე დიდია მრავალშვილიანთა ხვედრითი წილი მესტიიდან და ლენტეხიდან ადრე ჩამოსახლებულთა შორის.

ამის გამო ჩასახლების ადგილებში შეიქმნა გარკვეული სირთულეები მრავალშვილიანი ოჯახების სავაჭრო და საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და სატრანსპორტო მომსახურების მხრივ, რომელთა მოგვარება შესაძლებელია შესაბამისი სამინისტროებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობით.

ჩამოსახლებული მრავალშვილიანი ოჯახების უკეთ მოწყობისა და ცხოვრების სათანადო პირობების შექმნის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს წინადადებანი რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ჩასახლებული მრავალშვილიანი ოჯახების მომსახურების გაუმჯობესების თაობაზე, დანართის თანახმად, რომელიც ერთობლივად შეიმუშავეს რესპუბლიკის ქალთა საბჭომ და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ.

2. დაევალოთ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს (სიის მიხედვით) დააწესებინონ მათს ტერიტორიაზე ჩამოსახლებული ოჯახების სიები ბავშვთა ასაკისა და საქმიანობის აღნიშვნით და შესაბამის ადგილობრივ სამსახურებთან ერთად უზრუნველყონ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საავტომობილო ტრანსპორტისა და გაზების, სახინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს, ცეკავშირს განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებათა შესასრულებლად მრავალშვილიანი ოჯახების, სავაჭრო, სამედიცინო, სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებითად გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

4. ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ეკონომიკურად ძლიერი საწარმოების, კოოპერატივებისა და ცალკეულ პირთა ინიციატივას, გაუწიონ შეფობა და ეკონომიკური დახმარება მრავალშვილიან ოჯახებსა და უდედმამო ბავშვებს.

5. ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა პროფკავშირულ ორგანოებთან, ქალთა საბჭოებთან და საზოგადოება „ცოდნის" ორგანიზაციებთან ერთად განახორციელონ საგანგებო ღონისძიებანი მოსახლეობის პედაგოგიური, ესთეტიკური და სამართლებრივი აღზრდისათვის.

ჩამოაყალიბონ საზოგადოებაში ქალის როლის შესაბამისი სახალხო უნივერსიტეტები, კლუბები, შემოქმედებითი გაერთიანებები, მოაწყონ იურიდიული კონსულტაციები დედისა და ბავშვის უფლებათა დაცვის საკითხებზე და სხვა.

6. რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, ქალთა საბჭოებმა სისტემატური კონტროლი დაწესონ ჩამოსახლებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის კანონით დაწესებული და ამ დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათების განხორციელებისადმი და საჭიროების შემთხვევაში საკითხი დაყენონ შესაბამისი ადგილობრივი, რესპუბლიკური ორგანოს წინაშე.

7. რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გააშუქონ მრავალშვილიან ოჯახებთან დაკავშირებული პრობლემები, უფრო მკაფიოდ წარმოაჩინონ ის საწარმოები, ორგანიზაციები, კოოპერატივები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ცალკეული პიროვნებანი, ვინც ჭეშმარიტად მამულიშვილურ მზრუნველობას იჩენს მრავალშვილიან ოჯახებისადმი, მათი ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ნ. ჯიოევანავა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი — ზ. მახარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის „2“ აგვისტოს № 396 დადგენილების დანართი

წინადადებანი რესპუბლიკის რიგ რაიონებში ჩასახლებული სვიქიური უბედურებით დაზარალებული მრავალშვილიანი ოჯახების საყოფაცხოვრებო, საგრანსპორტო და სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად

საკითხის დასახელება	პასუხისმგებელი შესრულებისათვის
დაზუსტდეს მრავალშვილიანი ოჯახების სია ბავშვების ასაკისა და სოციალური მდგომარეობის აღნიშვნით.	ქალაქების, რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები. ქალთა საბჭოები.
მიმაგრებულ იქნენ დადგენილი სიების საფუძველზე მრავალშვილიანი ოჯახები მაღაზიებზე, მათს სპეციალურ სექციებზე მომსახურებისათვის.	
ასეთი ოჯახების სიმრავლის შემთხვევაში შეიძლება გაიხსნას სპეციალური მაღაზიებიც; გამოიყოს მაღაზიებში განაყოფილება ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებით ვაჭრობისათვის.	ქალაქების, რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირი.
დადგინდეს გამოყოფილი ფონდების ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების წევრთა რაოდენობის შესაბამისად, სასურსათო და არასასურსათო საქონლის ასორტიმენტი და მიყიდვის ნორმები.	რაიონების, ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირი, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო.
გაეწიოთ მრავალშვილიან დედებს სათანადო დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე რიგგარეშე სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება.	
მოემსახურონ მრავალშვილიან ოჯახებს სასურსათო საქონლის შინ მიტანით, წინასწარი დაკვეთის საფუძველზე.	ქალაქების, რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირი.
როგორც წესი, პირველ რიგში მიეყიდოს მრავალშვილიან ოჯახებს მაღალი მოთხოვნის საბავშვო, საოჯახო დანიშნულების საქონელი (ავეჯი, მაცივარი, სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი და სხვა).	საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო, ცეკავშირი, ქალაქების, რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.
დადგინდეს ჩამოსახლებული რაიონების მრავალშვილიანი ოჯახების სკოლის ასაკის ბავშვებისათვის უფასო სატრანსპორტო მომსახურება (გარდა ტაქსისა).	საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტრო, ქალაქების, რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.
დადგინდეს ჩამოსახლებული რაიონების სკოლამდელი და სკოლის ასაკის მრავალშვილიანი ოჯახებისათვის თეთრეულის რეცხვა და სკოლის ასაკის მოსწავლეთა თმების გაკრეჭვა საპარიკმახეროში უფასოდ, განსაკუთრებულ შემთხვევაში აღნიშნული მომსახურება გაეწიოთ ბინაზე.	საქართველოს სსრ საბინაო კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.
არსებითად გაუმჯობესდეს მრავალშვილიანი ოჯახების სამედიცინო მომსახურება; როგორც წესი, მათ მოემსახურონ ადგილებზე, სახლში მისვლით, ხოლო სამედიცინო გამოკვლევები შეასრულონ რიგგარეშე. შეიქმნას გარკვეული სისტემა მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის (შინ მიტანით, უფასოდ და სხვა).	საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ოლქის, ქალაქების, რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამ დადგენილებით განსაზღვრული შეღავათები გავრცელდეს დედებზე, როგორც ოჯახის ერთ-ერთ მარჩენალზე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ზ. მახარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრკ სახალხო დეპუტატების უმაღლესი საბჭოს სესიაზე

ზოია პუხოვა,
საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე.

პატივცემულო ამხანაგო დეპუტატებო! მე გამოვდივარ როგორც დეპუტატი ქალთა საბჭოებისაგან. გამოვდივარ იმათი სახელით, რომელთა ხმაც ხშირად არავის ესმის. მაგრამ საკითხები, რომლებსაც ჩვენ ვსვამთ, ხომ ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და მტკივნეული საკითხებია. ისინი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ნახევრის, სახალხო მეურნეობაში მომუშავეთა ნახევრის ინტერესებს შეეხება.

რა გვაწუხებს, რას მოელიან ქალები ყრილობისაგან? ისინი მოელიან თავიანთი მდგომარეობის რეალურ გაუმჯობესებას. არა ამ გაუთავებელ ლაპარაკს, რომელიც ახლა მოდაშია, იმის თაობაზე, თუ როგორ უჭირთ ჩვენს ქალებს, არამედ კონკრეტულ საქმეებს, მათი ცხოვრების გაუმჯობესების გზაზე გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებს. მიხეილ სერგის ძის მოხსენებაში ნათქვამია, ქალებს უნდა დავეხმაროთო. მაგრამ ქალების მდგომარეობის გაუმჯობესების პოლიტიკა დღემდე არა გვაქვს. სახელმწიფო, მთლიანი, ერთიანი პოლიტიკა, რომელიც გაითვალისწინებს ეროვნულ და რეგიონალურ თავისებურებებს. პრობლემები კი პრობლემებად რჩება.

მოდით, ამხანაგებო, ყოველმა ჩვენგანმა საკუთარ თავს ჰკითხოს: რატომ არის ასე, რომ ღამის ცვლებში ქალები უფრო ხშირად მუშაობენ, ვიდრე მამაკაცები, მეტნი არიან ისინი მძიმე ხელის სამუშაოებზეც, მავნე საწარმოებშიც? ანდა, დედობის დაცვა? რეალურ დახმარებას მოელის ოჯახიც. ეს მხოლოდ ნაწილია პრობლემებისა, კენწეროა აისბერგისა. წყალში რამდენიღა იქნება? ყველა ეს პრობლემა ურთიერთდაკავშირებულია. ამიტომ მათი გადაწყვეტა მხოლოდ კომპლექსურად, ერთიანი საერთო-სახელმწიფო პოლიტიკის მეშვეობით შეიძლება.

დღეს უნდა განვსაზღვროთ, რომელია პრიორიტეტული ამოცანები. დარწმუნებული ვართ, პირველი რიგისაა იმ პრობლემების მთელი კომპლექსი, რომლებიც ქალების, ოჯახის ინტერესებს ეხება. ცხადია, ძლიერი სოციალური პოლიტიკა მნიშვნელოვან სახსრებს მოითხოვს. და ეს სახსრები უნდა ვეძებოთ ჩვენს დაგეგმვაში წესრიგის დამყარების, ქვეყანაში უყაირათობის აღკვეთის მეშვეობით. ჩვენ მოველით, რომ ამ მიზნებს მოხმარდება სამხედრო ბიუჯეტის შემცირებით გამოთავისუფლებული სახსრებიც. აქ გამოსული დეპუტატები მართალნი არიან — შემოსავლის კვალობაზე, ყაირათიანად და გონივრულად უნდა ვიცხოვროთ!

ამხანაგო დეპუტატებო! ბევრმა თქვენგანმა ქალთა საკითხის გადაწყვეტა თავის წინასაარჩევნო პროგრამაში შეიტანა, და მგონია, არა მარტო იმის გულისთვის, რომ ამომრჩეველ ქალთა ხმები გადაებირებინა. ახლა ქალები მოელიან, თუ რას გააკეთებთ მდგომარეობის არსებითად შეცვლის მიზნით.

ახლად არჩეულ უმაღლეს საბჭოში ქალთა საქმეების კომიტეტი იქმნება. ეს კომიტეტი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიქცეს ქალთა კომისიად, სადაც მარტოოდენ ქალები გადაწყვეტენ თავიანთ საკითხებს. ეს, ამხანაგებო, უმაღლეს საბჭოსთან არსებული ქალთა საბჭო არ არის. ამგვარი კომიტეტი უნდა ჩამოვაყალიბოთ არა სქესის მიხედვით, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ ეს ზოგადსოციალური საკითხია, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია.

ჩვენ გვინდა, რომ ამ კომიტეტს ჰქონდეს საკანონმდებლო და საკონტროლო ფუნქციები. ჩვენ როდი გვაკლია კარგი კანონები, რომელთა ზუსტად შესრულება ხელს შეუწყობდა საქმის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებას. ბოლოს და ბოლოს, დროა კონტროლს დავუქვემდებაროთ, თუ როგორ ასრულებენ ამ კანონებს სამინისტროები და უწყებანი, რომლებიც კანონების საწინააღმდეგოდ კვლავ ბარბაროსულად იყენებენ ქალთა ხელის შრომას და ეს გაცლებით უფრო ხელსაყრელად მიაჩნიათ, ვიდრე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვა.

ცხოვრება გვიკარნახებს, რომ საჭიროა შევიმუშავოთ ახალი საკანონმდებლო აქტები, რათა დროულად გამოვეხმაუროთ იმ ცვლილებებს, რომლებიც გარდაუვალია ჩვენს დინამიკურ ხანაში, უწინარესად ეკონომიკის სფეროში.

სამეურნეო რეფორმის პირობებში საწარმოებსა და ზოგიერთ რესპუბლიკას საშუალება ეძლევათ თავიანთი მოგების ნაწილი გამოქაყნონ მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, მათ შორის ბავშვებიანი ოჯახების დასახმარებლად. მაგალითად, იმ ქალების შვებულების ასანაზღაურებლად და გასახანგრძლივებლად, რომლებიც ახალშობილ ბავშვებს უვლიან. მაგრამ საამისო სამართლებრივი საფუძვლები დღემდე არა გვაქვს. ისე ხომ არ მოხდება, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის ესოდენ საჭირო ინიციატივები კანონსაწინააღმდეგო გახდეს?

კიდევ ერთი რამ გვაშინებს, ამხანაგებო. ისე არ გამოვიდეს, რომ ამ პრობლემებზე მარტოოდენ ქალთა საქმეების კომიტეტმა იმუშაოს. ავიღოთ, ვთქვათ, დედობისა და ბავშვობის დაცვა. ეს ხომ საბოლოოდ თაობათა ჯანმრთელობას უზრუნველყოფს. განა შეიძლება ამ საკითხზე არ იმუშაოს ხალხის ჯანმრთელობის თუ ეკოლოგიის კომიტეტმა? ესეც ხომ ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობაა, ჩვენი მომავალია.

და საქმის მეორე მხარე. სახალხო დეპუტატ ქალთა აქტიური მუშაობა საჭიროა გამოუკლებლივ ყველა კომიტეტსა და კომისიაში — საფინანსო-საბიუჯეტოშიც, ერთაშორისი ურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიერთობის და საერთაშორისო საქმეთა კომიტეტებშიც. მოგმართავთ თქვენც, მიხეილ სერგის ძევ, როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ჩვენ გვინდა, რომ თქვენს გამოსვლებში და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელთა გამოსვლებშიც უფრო საფუძვლიანად დაისვას ხოლმე ჩვენს ქვეყანაში ქალთა მდგომარეობის საკითხი.

XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე თქვენ ქალთა საკითხს სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხი უწოდეთ. მაშასადამე, ეს საკითხი სახელმწიფო მიდგომას მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით გვინდა მივმართოთ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსაც, მის თავმჯდომარესაც. ქალთა საკითხის გადაწყვეტაში ბევრი რამ არის დამოკიდებული თქვენს მოქმედებაზე. კერძოდ, გადაწყვეტილება ქალთა საქმეების სახელმწიფო მექანიზმის შექმნის თაობაზე. ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საკითხებში განვითარებულ და ბევრ განვითარებად ქვეყანასაც კი ჩამოვრჩებით. ეს ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ითქვა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის ტრიბუნიდან. საქმე კი ვერადა ვერ დაიძრა ადგილიდან.

და კიდევ ერთი პრობლემა. ძალზე დასანანია, რომ სახალხო დეპუტატთა შორის ძალზე ცოტაა ქალი. სულ 17 პროცენტია. ეს კი, რა თქმა უნდა, ჩვენი ბრალიც არის. მაგრამ საერთო პრობლემაა. ტერიტორიული და ეროვნულ-ტერიტორიული ოლქების მიხედვით არჩევნებში ხომ მთელი ოლქები და საკავშირო რესპუბლიკებიც კი იყო, რომლებსაც არც ერთი ქალი არც დაუსახელებიათ და არც აურჩევიათ. ანდა, რამდენი ქალი დაასახელეს პარტიისაგან, კომკავშირისაგან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან? ჰოდა, გამოდის, რომ მამაკაცის თანაბრად მუშაობა, ღამის ცვლებშიც კი, მძიმე, ხშირად ჯანმრთელობისათვის მავნე შრომა ქალებს შესძლებიათ. აი, ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში მონაწილეობა, საკუთარი და შვილების ბედის გამგეობა კი მათი საქმე არ ყოფილა.

და ბოლოს, აი, რა მინდა კიდევ ვთქვა. დღეს საზოგადოებაში მნიშვნელოვანი დაძაბულობაა. ეს თავს იჩენს დისკუსიებშიც, მიტინგებშიც, ჩვენი ყრილობის მუშაობაშიც კი. მაგრამ მწამს, რომ გამოსავალი არის. და ესაა ერთმანეთისადმი პატივისცემით გამსჭვალული დიალოგი, გადაწყვეტათა ერთობლივი ძიება, იმის სურვილი, რომ არა მარტო პრეტენზიები გამოვთქვათ, არამედ სხვებსაც მოვუსმინოთ, უნდა გავაერთიანოთ ჩვენი ძალები.

ვულოცავთ 1989 წლის შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატებს!

კლავდია დევდარიანი

მერი გოლეკვაძე



გიორგი წერეთელი

ანა ახმატოვას დაბადების 100 წლისთავისთვის

მას სიცოცხლეშივე აღმერთებდნენ. უწოდებდნენ დიადს, დიდებულს, ადარებდნენ საფოს... მის მიერ აღმოჩენული პოეტური სამყარო გამოირჩეოდა მარადქალურობით. უმისოდ წარმოუდგენელია რუსული პოეზია, და საერთოდ, სატრფიალო პოეზია, თავისი მაღალი გაგებით, დიახ, მას სიცოცხლეშივე აღმერთებდნენ და, საკვირველია, სიცოცხლეშივე შეასვა ცხოვრებამ სამსალით სავსე ფიალა: დაუხვრიტეს მეუღლე — პოეტი გუმილიოვი, ციხიდან ციხეში გადაჰყავდათ ვაჟიშვილი. 1946 წელს კი თავად მასაც თავს დაესხნენ, გაძიძგნეს მისი შემოქმედება, უწოდეს მეშჩანური, ობივატელური და უკმეხად შეუძახეს ლიტერატურიდან გაეთრიეო.

მას ყოველთვის მაღლა, დედოფლურად ეჭირა თავი. უმძიმესი შეჭირვების ჟამს, აუტანელი სიღატაკის, ავადმყოფობის დროს მნახველებს ღირსეულად ხვდებოდა, ესაუბრებოდა და აღავსებდა რწმენით, რომ პოეზია, ლირიკა თავისუფლების საფუძველია, მისი თავშესაფარია...

ლურჯთვალა მეფე

დიდება უთვალავ ტკივილებს გულში:
ხელმწიფე ლურჯთვალა მომიკვდა გუშინ.
ენთო შემოდგომის დაისი დიდხანს,
ქმარი შემოდგა და უგულოდ მითხრა:
იგი მონადირემ იპოვა ტყეში
ფოთლების, ფოთლების, ფოთლების თქეშში.
დედოფალს რას ერჩი, ბრალია, ბრალი,
თურმე ერთ ღამეში გათეთრდა ქალი!..
თქვა და დაიმუხლა ბუხართან, აქვე
გააწყო ჩიბუხი. მიხედა საქმეს.
...შვილს ვაკრთობ ალერსით, ეძინოს თუნდაც,
მოლურჯო თვალებში ჩავხედო უნდა.
და სარკმლით იმწამსვე ალვები ჩქეფენ:
რომ ცოდვილ მიწაზე არ გყავსო მეფე!

* * *

დიდება კვამლივით მათბობდა,
გული ხომ ამას არ ფიქრობდა.
არ იცი? — ყველა ჩემს სატრფოსთან
მე ბედნიერება მიმქონდა.

ერთს, დღესაც სიცოცხლე აცვია,
არის საყვარლების თხოვაში.
მეორე — ბრინჯაოს კაცია
მოედანზე დგას თოვაში.

თარგმნა ნაზი კილასონიამ

ლია ნეტრიული ნელი თარბას

ძვირფასო ნელი! დიდი შეშფოთებითა და გულისტკივილით გწერ ამ წერილს, გწერ, როგორც ახლობელ, ძვირფას უმცროს მეგობარს, ნიჭიერ პოეტს, ღირსეულ დედას და ჩვენი აფხაზეთისა და ერთობლივ საქართველოს საამაყო შვილს.

ვწერ, რადგან არა მგონია, შენც არ გაღელვებდეს, როდესაც ხედავ, რა საფრთხის წინაშეა დღეს ჩვენი ხალხების საუკუნოებით ნაწრთობ-ნამტკიცები ერთობა და მეგობრობა, და საერთოდ, ჩვენი ოჯახების, ჩვენი შვილების, ჩვენი ერების არსებობა.

ჩემო ნელი, ჩვენდა საამაყოდ და საუბედუროდაც, უმშვენიერესი მიწა-წყალი გვრგებია სამკვიდროდ — მოყვარეს რომ გულს უხარებდა და ათასი რჯულის მტაცებელს მოსვენებას უკარგავდა მუდამ. და მხოლოდ ჩვენი წინაპრების მტკიცე ძმობას, ერთობას, დიდ გონიერებასა და საარაკო გმირობას უნდა ვუმადლოდეთ, რომ არ აღგვილვართ პირისაგან მიწისა...

არ შეიძლება არ გაღელვებდეს, რადგან ჩვენი ბედი ვინ გაჰყო! შენც ხომ, აფხაზეთის ასულს, არა ერთი სათუთი, სიყვარულით გამთბარი სტრიქონი გიძღვნია დედა საქართველოსათვის:

„...შენ ხარ კეთილი, შენ ხარ
მაღალი,
მტევნებდასხმული ვაზი, ბრიალა.
ნაზიც, ლომგულიც, შენ ხარ
ჩონგური,
ხალხმა სიცოცხლედ რომ
გაწკრიალა...

. . . . . .

ვარ სიყვარულის კეთილი ტალღა,
სხვა ჩემზე ლაღი არც
მეგულება. —
მე აფხაზეთმა მასწავლა ახლა
შენდამი ტრფობაც და
ერთგულებაც“.

(ნელი თარბა. 1970 წ.)

როგორ გგავს, ჩემო ნელი, საქართველოსადმი მიძღვნილი ეს წერილი და მშვენიერი ჰიმნი, თავად სათუთსა და პირმშვენიერს. და ვერ წარმომიდგენია, დღეს არ გტკიოდეს ჩვენი ერების საერთო სატკივარი, თავად ოთხი შვილის დედას. არ გაღელვებდეს შვილების დამკარგავი დედების ტრაგედია, არ გაშფოთებდეს მათი შვილების უდროოდ, ვერაგულად შეწყვეტილ სიცოცხლეზე ფიქრი...

განა როდესაც მე აფხაზეთს ვუმღეროდი და შენ — საქართველოს, როდესაც ერთმანეთის სიხარულით ვხარობდით და სატკივარზე ვწუხდით, წარმოვიდგენდით, რომ შეიძლება დადგეს დღე, როდესაც ეს ორი ძმა — აფხაზეთი და საქართველო ერთმანეთის მოსასპობად მახვილს აღმართავდა?

გული ტირის ძმათა ხელით დახოცილთა გამო.

გული ტირის, როდესაც ვხედავ, როგორ ირღვევა ჩვენი წინაპრების ხელით ნაშენებ-ნამტკიცები ჩვენი წმინდა ერთობა.

გული მტკივა, როდესაც ვხედავ, აღწევს მიზანს ჩვენი მოშურნე, რომელსაც ჩვენი მშვენიერი სამშობლოს გათავისების სურვილი არ ასვენებს.

აღშფოთებით ვუსმენდი, როდესაც ერთ-ერთი მთგანი, ვისაც დიდმპყრობელური რუსეთის ფსიქოლოგიის რეციდივები შემორჩენია, პენსიონერი ქალი, ტელეეკრანიდან ჯიოს ტვიქნევდა და ფეხს გვიბაკუნებდა: ვისაც არ მოგწონთ აქ ცხოვრება, აიღეთ ბილეთები და საითაც გენებოთ მიბრძანდითო. ამაზე იტყვიან: გარეულმა კატამ შინაური გააგდოო. და განა ცოტა არიან ასეთები, საკუთარი სამშობლო რომ მიუტოვებიათ, ჩვენს ჭერქვეშ დასახლებულან და დღეს აქაურობის ბატონ-პატრონობაზე დებენ თავს?

გვჭირდება კია ასეთი მედიატორები? ან ისეთი ნაფიცი მსაჯულები, ფაქტებს რომ ამახინჯებენ და ცეცხლზე ნავთს ასხამენ, რომ შემდეგ უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონონ?

ასეთად ქცეულა დღეს სოჭის გვერდით მდებარე პლასტუნკაც, ამ 20—25 წლის წინათ მთლად ქართველებით დასახლებულს, დღეს თითო-ოროლაა რომ შემორჩენია ქართულ ენაზე (მოლაპარაკე. აი, ბედი დიდ ზღვაში ჩაკარგული ნაკადულებისა!...

ვფიქრობ, ჩვენი „კეთილის მოსურნენი“ რომ თავიანთ მამა-პაპის სამკვიდროებს, თავიანთ ოჯახებს მიხედავდნენ, იქ უფრო მეტს ნახავდნენ აუცილებლად მისახმარებელ-მოსაგვარებელს.

შეიძლება მკვიდრ ძმებს ჰქონდეთ სადავო, მაგრამ ზოგჯერ უახლოესი მეზობლის ჩარევაც კი მხოლოდ ართულებს მდგომარეობას და მათი ურთიერთდამოკიდებულების ავ-კარგში საოჯახო საბჭო უკეთ გაერკვევა, ვიდრე გარეშე მაყურებელი.

ჩემო ნელი! დღეს ჩვენს სამშობლოს უჭირს, როგორც არასდროს, რადგან მწარეა, უზომოდ მწარე, ძმის მიერ ძმისთვის მიყენებული ჭრილობა...

ვინ უნდა მოუაროს ამ მძიმე ჭრილობებს, შეაჩეროს სისხლის დენა და ძმათა სამტროდ აღმართული ხელი, ვინ უნდა ჩაუფინოს სასიკვდილოდ შერკინებულთ სამშვიდობო მანდილი, თუ არა, ჩვენ, დედებმა, ქალებმა. ჩვენი ხალხის ჭირისუფლებმა!

ამიტომაც ავიღე ხელში კალამი, მოგიხმე ჩემს შვილსა და ძვირფას მეგობარს უკიდურესი შეჭირვების ჟამს.

მარიკა ბარათაშვილი

ხმა ჯუნეჯავი

თბილისში ეკოლოგიური ვითარება უკიდურესად რომ გამწვავდა, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებამ კი თითქმის კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, ამის შესახებ ახლა ბევრსა ვწერთ და ვლაპარაკობთ. იმართება ეკოლოგიური მიტინგები, სხვადასხვა შეკრებები, ღონისძიებებსაც ბევრს ვსახავთ, მაგრამ სასურველი შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს, პირიქით, რაც დრო გადის, საფრთხე სულ უფრო მატულობს, უმართავი ხდება. და მაინც, ისევ ამ მტკივნეულ თემაზე გვინდა ვისაუბროთ. შეიძლება კვლავ მრავალგზის ნათქვამი გავიმეოროთ, მაგრამ ამჯერად იმედის თვალით შევყურებთ დღევანდელ შეხვედრას, რატომღაც გვჯერა, აუცილებლად სასურველ შედეგს გამოიღებს ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებთან გასაუბრება. ამგვარ რწმენას ჩვენში ქალის ბუნება, მისი სულის ძლიერება, შემართება და შეუპოვრობა, სიკეთისა და ქვეყნის გადარჩენისათვის გამუდმებული სწრაფვა ბადებს. განა მისი ყოვლისშემძლეობის გამომხატველი არ არის ქართული ანდაზა: ქალის გაბედნიერებული კაცი ღმერთმა ვერ გააუბედურაო... ან კიდევ, დედაკაცმა თუ გაინია, ცხრა უღელი ხარი ვერ შეაკავებსო. ჰოდა, ახლა, როცა საქართველოს ასე უჭირს, ყველა ერთხმად გაიძახის, ქვეყნის ხსნა მხოლოდ ქალს შეუძლიაო. ეკოლოგიური განსაცდელის ჟამსაც იმისი იმედი გვაქვს, ეს საფრთხე ხომ ყველაზე მეტად მომავალ თაობას, ბავშვებს ემუქრება. დედა კი ამ დროს მზად არის, თავისი პირმშოს გადასარჩენად თავიც გასწიროს. დიახ, ჩვენ ქალებს ვუხმობთ ბრძოლისათვის. განზრახვას არ ვმალავთ, გვინდა რომ „ავაჯანყოთ“ ისინი იმათ წინააღმდეგ, ვინც რეალურ სიტუაციას ვერ ჭვრეტს, სიტყვით ერთს ამბობს, საქმით კი სხვას აკეთებს, ვინც თავისი გულარხეინობითა თუ უპასუხისმგებლობით მიგვაქანებს ეკოლოგიური უფსკრულისაკენ. სწორედ ამ მიზნით მოვიწვიეთ რედაქციაში, მრგვალ მაგიდასთან თბილისის მთავარი პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლუდმილა ლომია, ქალაქის სანიტარიული სამსახურის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დავით ბაგაშა, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე მიხი ოდიშარია და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის სანარმოო გაერთიანების უფროსის მოადგილე მალხაზ ებრალიძე.

კორესპონდენტი: ამ ბოლო დროს შეწუხებული ადამიანებისგან ხშირად მოისმენთ ჩვენს: — სუნთქვა აღარ შეიძლებაო... თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება-მოწამვლა საშუალოდ 3-4-ჯერ, ზოგიერთ ადგილას კი გაცილებით მეტჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას. ცხადია, ეს მარტო უსიამოვნო სუნის შეგრძნებას როდი ინვევს, დამლუპველად მოქმედებს ჩვენს ჯანმრთელობაზე, საერთოდ, სიცოცხლის არსებობაზე. ანდა, აკიღოთ ჩვენი საკვები პროდუქტები, თითქმის ყველგან ნიტრატები და სხვა მავნე ნივთიერებებია ჩასაფრებული. უსაც „ბაუკულმართებული ეკოლოგიის შედეგია. ყველაფერი ამის გამო შეშფოთებით ლაპარაკობენ, განგაშს ტეხენ მედიცინის მსახურნი.

ლუდმილა ლომია: მინდა ჩემი საუბარი დავიწყო აკადემიკოს ნიკოლოზ დუბინინის ნათქვამით:—მსოფლიოში ათი, ხოლო ზოგან თვრამეტი პროცენტი ბავშვებისა ჯანმრთელობის სხვადასხვა გადახრით იბადება და ეს არის ბუნების მოწამვლის სიცოცხლეზე „ცივილიზაციის“ შეტევის შედეგი. ეს მან 10 წლისაგზე მეტი ხნის წინათ თქვა. მას შემდეგ ვითარება უფრო გაუარესდა. დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ბავშვების 30 პროცენტი ნერვულ, ხოლო 50 პროცენტი კუჭ-ნაწლავის დაავადებას უჩივის, 50 პროცენტს დარღვეული აქვს მხედველობა, 90 პროცენტი კი ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის ზღვარს შორის იმყოფება. სხვა მავნე მოვლენებთან ერთად, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი დაბინძურებული გარემოს, მოწამლული ჰაერისა და ასეთივე სახის საკვები პროდუქტების ზემოქმედებაც გახლავთ. ატმოსფეროს გაჭუჭყიანებასა და ადამიანის ჯანრთელობაზე განსაკუთრებით (უარყოფით გავლენას ახდენს ავტოტრანსპორტის მავნე გამონაბოლქვი. ამ მხრივ უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა თბილისში. ჩვენთან ჰაერის გაჭუჭყიანების 86 პროცენტი ავტომანქანებზე მოდის. ამ მაჩვენებლით თბილისი საბჭოთა კავშირის ყველაზე მეტად დაბინძურებულ ქალაქთა ხუთეულში შედის. დადგენილია, რომ ავტომანქანა გამოჰყოფს გარემოს დამაბინძურებელ ათობით მავნე ნივთიერებას, ნახშირჟანგს, აზოტის ჟანგეულებს, ნახშირწყალბადებს, ტყვიის შენაერთებსა და სხვა. თბილისში დაახლოებით 150 ათასი ავტომობილია, რომელიც წელიწადში 300 ათას ტონამდე მავნე ნივთიერებას გამოაჰყოფს. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ თითოეული მანქანა ყოველი 100 კილომეტრის გავლისას ადამიანის წლიურ ნორმა ჟანგბადს შთანთქავს, მაშინ სურათი კიდევ უფრო მუქ ფერებში წარმოგვიდგება. ატმოსფეროს გაბინძურების, ჟანგბადის ნაკლებობის შედეგად, ჩვენს ორგანიზმში ხდება მომწამლავ ნივთიერებათა დაგროვება, რაც ამცირებს მის წინააღმდეგობას ინფექციებისადმი, ხელს უწყობს გულ-სისხლძარღვთა და კიბოვანი დაავადების, ასთმის, ალერგიისა და ღვიძლის ციროზის განვითარებას. ამ სამიოდე წლის წინათ მოეწყო მოსახლეობის ანკეტური გამოკითხვა. ფეხით მოსიარულეთა 90 პროცენტზე მეტმა განაცხადა, რომ უმეტესწილად ფიზიკურად გრძნობს ავტომობილების მიერ გამონაბოლქვი აირებით ატმოსფეროს დაბინძურებას, რაც მათში უსიამოვნო შეგრძნებას ინვევს და ჯანმრთელობაზე მოქმედებს. გამოკითხულთა 53 პროცენტმა იმაზეც მიუთითა, რომ ჰაერის ძლიერი გაჭუჭყიანების დღეებში მცირდება მათი შრომისუნარიანობა და მუშაობის ხარისხი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ბოლო წლებში შესრულებული ერთ-ერთი გამოკვლევა ადასტურებს, რომ დღეს ,ალულ ბავშვთა მამები უმეტესწილად მძღოლები არიან. სამეცნიერო ლიტერატურაში არის მონაცემები, რომ მათ შორის გახშირდა მიოკარდის ინფარქტით დაავადების შემთხვევები. დაკვირვებით დადგინდა, რომ ეს მოვლენა უმთავრესად გამოწვეულია ბენზინის ზემოქმედებით, კერძოდ, ხდება სისხლძარღვთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ბაკრაძე ვლის ფოტო

მრგვალი მაგიდის მონაწილენი (მარჯვნიდან): გივი ოდიშარია, ლუდგილა ლომია, მალხაზ ეგრალიძე, დავით გაგუა.

თბილისში შესამჩნევად მცირდება. ჯანმრთელ ახალშობილთა რიცხვი. ხშირად მათ აღენიშნებათ განვითარების სხვადასხვა გადახრები, თანდაყოლილი სიმახინჯეები და ა. შ.

ორიოდე სიტყვით საკვებ პროდუქტებსაც შევეხები. ამ მხრივაც მეტად შემაშფოთებელი ვითარებაა. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უკვე რეალურ საფრთხედ იქცა ნიტრატები, პესტიციდები... ამ მოვლენაშიც გარემოს მავნე ფაქტორთა როლი ეჭვს არ იწვევს. მე, როგორც პედიატრს, განსაკუთრებით მოზარდი თაობის ბედი მაწუხებს. მოგეხსენებათ, რომ მეძუძური ბავშვების ნახევარზე ნაკლები იკვებება დედის რძით, დანარჩენები კი იღებენ ძროხის რძისაგან გამზადებულ ნარევებს. ამასთან, ძუძუთი კვების დროსაც იღებს ახალშობილი დედის ორგანიზმში მოხვედრილ ნიტრატებს, პესტიციდებს და ა. შ.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში იმ ძროხებისათვის, რომელთა რძითაც იკვებებიან მცირეწლოვანი ბავშვები,გამოყოფილია ეკოლოგიურად სუფთა საძოვრები. სამწუხაროდ ეს ჩვენთვის ჯერჯერობით მხოლოდ ოცნების საგანია.

თბილისში აუცილებლად უნდა გაიხსნას რამდენიმე სპეციალიზებული სასურსათო მაღაზია, სადაც გაიყიდება პროდუქტები (მათ შორის ხილი და ბოსტნეული) მარტო ბავშვებისა და ორსული ქალებისათვის. ამ პროდუქტებში უნდა შემოწმდეს ამა თუ იმ შენარევების შემცველობა და ა. შ. ასევე, მოსახლეობას უნდა შეეძლოს, შეიძინოს ინდიკატორული ქაღალდი ხილ-ბოსტნეულში ნიტრატების შემცველობის დასადგენად) (ექსპრესანალიზის საშუალებით). ალბათ, ყველა ამ პირობების დაცვით, ნანილობრივ მაინც , შევამცირებთ მავნე ნივთიერების შეღწევას ორგანიზმში.

კორესპონდენტი: დაგეთანხმებით. წარმოდგენილი სურათი მეტად მძიმე და შემაშფოთებელია. ადრე ამის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლებოდა, აკრძალული იყო ამგვარი ფაქტების დასახელება, მაგრამ რაგინდ უსიამოვნო და უხერხული უნდა იყოს სინამდვილის აღიარება, გაბედულება უნდა გვეყოს და ხალხს ბოლომდე სიმართლე ვუთხრათ. ამ მხრივ ბევრი სათქმელი აქვს ქალაქის სანიტარიულ სამსახურსაც. იქნებ, ბატონმა დავითმა გაგვაცნოს თბილისის წყალსატევების ეკოლოგიური შედგომარეობა?

დავით გაგუა: — დიახ, ხალხს სიმართლე უნდა ვუთხრათ, მისი დამალვა მხოლოდ საქმეს ვნებს, სიფხიზლეს ადუნებს, რეალური სურათის დადგენა კი უფრო ეფექტიანს და ქმედითს გახდის ეკოლოგიური საშიშროების ნიანაღმდეგ ბრძოლას. უნდა ვაღიაროთ, რომ უკვე კატასტროფულ ზღვარს მიაღწია მტკვრისა და მისი შენაკადების — დიღმულასა და ვერეს დაბინძურებამ. აქ ჩამდინარე მოწამლულ სითხეში სიბინძურე უფრო მეტია, ვიდრე ბუნებრივი წყალი. აი რაზე მეტყველებენ ციფრები: სანარმოო ჩამდინარე წყლებში ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას 340-ჯერ აღემატება ნავთობპროდუქტების, 16-ჯერ — ამონიუმის, 740-ჯერ — ფენოლის, 1.400-ჯერ — თუთიის, 6.200-ჯერ ქრომის, 20.000-ჯერ სპილენძის შემადგენგენლობა. ჰოდა, ასეთი წყლით მორწყული ბოსტნეული, მწვანილი თუ ბაღჩეული, ადვილი წარმოსადგენია, რა სიკეთეს მოუტანს ადამიანს! ამას ემატება ეთილიანი बენზინის ნამწვით დაბინძურებული ჩვენი გზების გასწვრივ საძოვარზე გაშვებული საქონლის რძეხორცი და სხვა პროდუქტები. სამწუხაროდ, ბევრი ხელმძღვანელი ჯერაც ნაკლებ, ან საერთოდ, არავითარ ყურადღებას არ აქცევს თავისი საქმიანობის ეკოლოგიურ მხარეს, მისთვის მთავარია მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლები: გეგმა, პროცენტი. მათ არარად ულირთ ათასობით სახელმწიფო მანეთი ჯარიმა გადიხადონ მდინარეში გაუწმენდავი ნახმარი წყლების ჩაშვებისა და ჰაერის მოწამვლისათვის, ვიდრე თავი შეინუხონ ხალხისა და ქალაქის საკეთილდღეოდ. საჭიროა გამკაცრდეს სანქციები იმ საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ ქალაქისა და ადამიანების ინტერესებს გულგრილობას, უპასუხისმგებლობას იჩენენ, ეკოლოგიურ დანაშაულს სჩადიან. კარგი იქნება, თუ სხვა ქალაქების მსგავსად, თბილისშიც შეიქმნება ბუნების დაცვითი ადმინისტრაციული ორგანოები — პროკურატურისა და მილიციის სპეციალური ქვედანაყოფები.

კორესპონდენტი: — ან ადამიანი ისე მოიქცევა, რომ დედამიწაზე იყოს ნაკლები კვამლი, ან კვამლი გახდება იმის მიზეზი, რომ დედამიწაზე ადამიანთა რაოდენობა შემცირდება. — ამტკიცებენ ეკოლოგები. კვამლის მიზეზი კი ჩვენთან, როგორც ვთქვით, ავტოტრანსპორტია. ყველაზე მეტად ამ პრობლემის სიმწვავეს, მისგან გამოწვეულ უსიამოვნებას, ალბათ, ავტოინსპექციის მუშაკები განიცდიან, ისინი თითქმის ყოველდღე გზებსა და გზაჯვარედინებზე დგანან და რომ იტყვიან, ეკოლოგიური „რადიაციის" ეპიცენტრში არიან. ბატონო გივი, რას ეტყვით ამის თაობაზე „საქართველოს ქალის" მკითხველებს?

გივი ოდიშარია: ჩემს სათქმელს დავიწყებ იმით, რომ ავტოტრანსპორტისაგან ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლით თბილისი ერთ-ერთი მეტად დაზიანებული ქალაქია მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ პროცესებს განსაკუთრებით ამწვავებს ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის ექსპლუატაცია და უხარისხო ბენზინის გამოყენება.

ბუნებრივია, დაგებადოთ კითხვა, რა კეთდება ავტოტრანსპორტით გამოწვეული უარყოფითი მოვლენების შესამცირებლად? თავიდანვე შევნიშნავ — კეთებით კი კეთდება, მაგრამ ყველაფერი ეს აშკარად არასაკმარისია.

წლევანდელ 6 თვეში შევამოწმეთ კერძო მფლობელის 30 ათასამდე ავტომანქანა, აქედან მაღალი ტოქსიკურობა აღმოაჩნდა დაახლოებით ერთ მეოთხედს. მათი მფლობელნი დაჯარიმდნენ 32.410 მანეთით. ასევე დიდია ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის ხვედრითი წილი სახელმწიფო ავტოსანარმოებში.

განხორციელებული ადმინისტრაციული ღონისძიებებისა და მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, სატრანსპორტო საშუალებების მქონე თითქმის ყველა სამინისტროსა და უწყებაში არ სრულდება სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნები. ავტოსატრანსპორტო სანარმოთა ხელმძღვანელები არ ზრუნავენ სადიაგნოსტიკო-საკონტროლო აპარატურების შეძენის, სათანადო კვალიფიკაციის კადრების მომზადების, მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

მოქალაქენი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ ბენზინის უხარისხობის გამო. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენთან ამჟამად არსებული ბენზინით შეუძლებელია ავტომობილის ძრავის ტოქსიკურობის მინიმუმამდე დარეგულირება. მხოლოდ მძღოლებისა და ავტოსატრანსპორტო სანარმოთა პასუხისმგებელი პირების დაჯარიმებით პრობლემა ვერ გადაიჭრება, მით უმეტეს, გაზოანალიზატორი ყოველდღიურად მწყობრდან გამოდის. ჩვენთან დღემდე არ შეიქმნა მათი შესაკეთებელი სახელოსნო.

საჭიროა, დროულად აშენდეს სახავტოინსპექციის დიაგნოსტიკის სადგური, ქალაქის შემოსასვლელებში მოეწყოს ეკოლოგიური საგუშაგოები. აღმასკომებმა მკაცრად უნდა აკრძალონ გაზრდილი ტოქსიკურობის მქონე ავტომანქანების ქალაქებში შემოსვლა.

ცუდი მდგომარეობაა დიზელიანი ავტომობილების კონტროლის მხრივაც. კვალმზომი ხელსაწყოების უქონლობის გამო აღნიშნული მარკის ავტომობილების შემოწმება არ ხდება.

ვერა და ვერ მოგვარდა ჩვენთან ეთილირებული ბენზინის მოხმარების აკრძალვა, რაც სხვა ქალაქებში (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ალმა-ათა, ერევანი) უკვე განხორციელდა. ამ პრობლემის მოგვარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თბილისის ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებას.

კორესპონდენტი: — სამწუხაროდ, მოსაგვარებელი პრობლემა ბევრია, უმრავლესობას დიდი დრო და საკმაო სახსრები სჭირდება. მაგრამ ამჟამად ქალაქში ისეთი კრიტიკული და მწვავე ეკოლოგიური ვითარებაა შექმნილი, რომ მეტის მოთმენა აღარ შეიძლება. ამიტომ საქალაქო საბჭოს აღმასკომი სწორად მოიქცა, როცა მიიღო გადაწყვეტილება — თბილისში თვეში ერთხელ აიკრძალოს ინდივიდუალური და სახელმწიფო ტრანსპორტის მოძრაობა. იმედია, ამ ნაბიჯს ქალებიც დაუჭერენ მხარს.

ლუდვიკა ლომია: — მე, როგორც დედა, ექიმი და ქალი, ვაცხადებ, ამგვარი გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი და გონივრული ნაბიჯია. ტრანსპორტის მოძრაობა თუ არ შეიზღუდა ქალაქში, სულ მალე, ალბათ, კატასტროფამდე მივალთ, სუნთქვა შეუძლებელია. ატმოსფეროს დაბინძურების პროცესი შეუქცევადი გახდება, ჩვენს ბავშვებსა და, საერთოდ, მთელ მოსახლეობას თავს დაატყდება ეკოლოგიური უბედურება.

კორესპონდენტი: — ადამიანს თავს დამტყდარი ყველა ამ უბედურების უმთავრესი მიზეზი ისიც არის, რომ მან ზურგი შეაქცია ბუნებას, სიკეთის ნაცვლად უგუნურების გზას დაადგა. ქალაქში რომ სუნთქვა ჭირს, განა მარტო ავტომანქანების ბრალია! თბილისს აკლია სიმწვანე და ამიტომაც არის ასე ძლიერი მონამლული ჰაერი. ოცდათხუთმეტი წელიწადია ჩვენთან პარკი არ გაშენებულა, პირიქით, რაც გვქონდა, ისიც შეკვეცეთ...

მალხაზ ეგრალიძე: — კარგად აქვს ნათქვამი საფრანგეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის პრეზიდენტს როჟე ჰეიმს: ადამიანის გამარჯვება ნიადაგის გამარჯვებაა, ორივე კი დამოკიდებულია ხის გამარჯვებაზე. ასე, რომ ხსნა ისევ ბუნებაშია. დიახ, ჩვენს ქალაქს აკლია სიმწვანე, ერთ სულ მოსახლეზე მოდის 9, 45 კვადრატული მეტრი საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავთა, ნორმით გათვალისწინებული, საჭირო 21 კვადრატული მეტრის ნაცვლად. სწორედ ამგვარმა შეუსაბამობამაც განაპირობა თბილისში ატმოსფერული ჰაერის ინტენსიური გაბინძურება. დადგენილია, რომ ერთ ჰექტარ ტყეს შეუძლია ჟანგბადით მოამარაგოს 30 ადამიანი. 50-დან 100 მეტრამდე სიგანის მწვანე ზოლი 3—5 გრადუსით დაბლა სწევს ტემპერატურას ქალაქის ცენტრთან შედარებით და 50 პროცენტით ადიდებს ჰაერის ტენიანობას. კიდევ სხვა უამრავი სიკეთის ჩამოთვლა შეიძლება, რაც ჩვენთვის მოაქვს მცენარეს. სწორია შენიშვნა, რომ თბილისს აკლია დიდი მწვანე მასივები. როგორც პროფესორი ლ. ზალესკია ამბობს: „საქალაქო პარკს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთლიანობაში ქალაქის გარემოს გაჯანსაღებისათვის, მხოლოდ დიდ მწვანე მასივს შეუძლია ქალაქის ჟანგბადის მარაგის შევსება“. ამ მოთხოვნათა ფონზე თბილისის გამწვანებინა ამჟამინდელი სურათი უკმაყოფილების გრძნობას ინვევს. ვითარებას ამძიმებს ის ფაქტორიც, რომ საერთო სარგებლობის მწვანე ნარგაობა უთანაბრად არის განაწილებული ქალაქის ტერიტორიაზე. ხე-მცენარეთა თითქმის 82 პროცენტი მტკვრის მარჯვენა სანაპიროზეა განლაგებული. ავჭალა—გლდანის ზონაში ერთ სულ მოსახლეზე 1,5, ვაზისუბანში 2, ხოლო ნავთლუღში 2,3 კვადრატული მეტრი მწვანე ნარგაობა მოდის. თანამედროვე ქალაქის მოთხოვნებს არ შეესაბამება თბილისის ქუჩის ნარგაობის დღევანდელი მდგომარეობაც. მემკვიდრეობით მივიღეთ დაბალი ესთეტიკური დონის, სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევებით გაშენებული მწვანე საფარი. ამის შედეგია, რომ ქუჩები მოკლებულია აუცილებელ განიავებას, ინსოლაციას. ხე-მცენარეთა სიახლოვის გამო მათი ვარჯები ისეა შეკრული ერთმანეთთან, რომ ზაფხულის ცხელ დღეებში ქალაქში დახუთული ატმოსფერო იქმნება, მიკროკლიმატი უარესდება, ქუჩები არ ნიავდება...

რის გაკეთებას ვაპირებთ მომავლში, როგორია თბილისის მწვანე მშენებლობის პერსპექტივები? უახლოეს წლებში ქალაქს უნდა შეემატოს 500 ჰექტარი საერთო ფართობის ღანდშაფტური, 2 კულტურის და დასვენების პარკი, 95 კილომეტრი სიგრძის სარწყავი ქსელი. მწვანე მასივები გაშენდება გლდანის, მუხიანის, ვაზისუბნისა და საბურთალოს დასახლებებში, სადაც შესაბამისად მოეწყობა 230, 20, 30 და 15 ჰექტარი ფართობის პარკები. გათვალისწინებულია აგრეთვე თბილისის ზღვის პარკის რეკონსტრუქციის, კეთილმოწყობისა და გაფართოების სამუშაოები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენაა საბურთალოს პარკის მშენებლობა, ვინაიდან ამ უბანს დღეისათვის საერთოდ არ გააჩნია დიდი მწვანე მასივი. ახალი პარკი, რომელიც განთავსდება ბავლოვის ქუჩასა და იპოდრომს შორის, ერთგვარად შეავსებს ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ ნაწილში საერთო სარგებლობის მწვანე ნარგაობათა დეფიციტს.

კორესპონდენტი: — ჩვენი შეხვედრა მინდა იმავე რწმენით დავამთავრო, რომლითაც დავიწყე. დედაქალაქს ახლა ძალიან უჭირს. ეკოლოგიური საშიშროება უკვე რეალობად იქცა. საფრთხე ემუქრება დიდსა და პატარას. განსაკუთრებით განსაცდელშია ჩვენი მომავალი თაობა. წეღან ვთქვეთ — ხსნა ბუნებაშიაო, ქალი კი ბუნების ყველაზე სრულყოფილი, მშვენიერი ქმნილებაა. ყველა სიკეთესთან ერთად იგი ძლიერი და მიზანსწრაფულიც არის. მისი იმედი აქვს საქართველოს და ჩვენც მისგან ველით შველას!

მრგვალ მაგიდას უძღვებოდა ჟურნალისტი
არჩილ ციცქიშვილი.

ᲛᲐᲠᲘᲜᲔᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ

რედაქციაში გვეწვია ქალთა შეკრებაზე. 28 წლის ქალია, მოხდენილი გარეგნობისა, იგი საინტერესო მოსაუბრეც გამოდგა. ისე ელეგენტურად გამოიყურებოდა ვერ დაიჯერებდით თუ მალე მეექვსე შვილს ელოდა.

ეს სურათიც იმ დღეს გადაუღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა დავით იაკობაშვილმა.

მარინე სვანიძეს უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტი წარჩინებით დაუმთავრებია, სტუდენტობისას არავისთვის გაუმხელია მრავალშვილიანი რომ იყო, შეღავათი და შემწეობა არავისგან მიუღია. ვერ შელევია ინსტიტუტს და ახლა მეორად ფაკულტეტზე სწავლობს.

მეუღლე — ბორისი თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანე, ამ მშვენიერი ქალის შესაფერია, სულითაც ლამაზი ვაუკაცი. მეუღლეებს კარგად აქვთ შეგნებული დღევანდელი საქართველოს შემაშფოთებელი დემოგრაფიული მდგომარეობა და ამბობენ: შვილი იმდენი უნდა ვიყოლიოთ, რამდენიც გაგვიჩნდებაო. ჯერჯერობით მათ ჭერქვეშ ხუთი თვალხატულა, კარგად მოვლილი და ნაპატრონები გოგო-ბიჭია: ნინო, ნათია, ნონა, ლალი და ილია... ამ ოჯახს საგანგებოდ მოუმართეს ხელი, ამავე სახლში მისცეს ბინა მარინეს მშობლებსაც როცა დედა შინ არ არის, ბებია და პაპა შვილიშვილებს თავს დასტრიალებენ. მარინე ხან დემოგრაფიულ და ხანაც რუსთაველის საზოგადოებების გამგეობის სხდომებზე მიიჩქარის. ქართველ დედათა კომიტეტის თავმჯომარედაც მას უპირებენ არჩევას.

ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲑᲣᲙᲘᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲨᲘ

ᲥᲕᲔᲚᲝᲠᲘᲥᲕᲔᲚᲝᲜᲘ

ᲐᲛᲐᲠᲗᲠᲔᲜᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐᲒᲒᲘᲓᲐ. — ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲛᲐᲢᲐ, ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ 9 ᲐᲠᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲛᲐᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲒᲔᲚᲬᲘᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲚᲐᲛᲐᲗᲘ, ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲘᲐᲜ ᲐᲯᲐᲠᲐᲨᲘ ᲣᲪᲐᲓᲐᲓ ᲓᲒᲐᲠᲘᲪᲝᲤᲛᲐ ᲛᲔᲭᲣᲧᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲖᲕᲐᲕᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲪᲐᲠᲐ. ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲤᲘᲖᲘᲙᲐᲓ ᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲘ.

Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲐᲒᲔᲫᲐᲒᲘᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲠᲘᲗᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲐᲯᲐᲠᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲣᲡᲐᲮᲚᲙᲐᲠᲝᲓ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ 22437 ᲛᲐᲜᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲩᲐᲘᲢᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘᲐ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ-ᲡᲐᲢᲠᲘᲐᲠᲘᲙᲝᲤᲐᲯᲝ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲠᲔᲣᲨᲚᲝᲑᲘᲡ, ᲙᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ „ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ“, ᲩᲣᲐᲕᲔᲤᲮᲘᲡᲐᲛᲪᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ, ᲡᲐᲙᲝᲜᲓᲘᲪᲘᲝᲠᲝ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ, ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲐᲡ.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲠᲘᲗᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲘᲜᲐᲮᲣᲚᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲬᲔᲠᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲨᲣᲨᲐᲜᲐ ᲖᲐᲑᲔᲚᲐᲫᲔᲡ ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲩᲣᲥᲜᲐ.

ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲛᲐ Ნ. ᲮᲐᲠᲐᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲝᲠᲛᲝᲛᲪᲓᲐᲐᲗᲐ ᲛᲐᲜᲗᲔᲗᲘ, ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲐᲠᲗᲕᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲙᲝ ᲖᲝᲘᲐᲫᲔ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ, ᲡᲐᲐᲢᲝᲛᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ, ᲜᲐᲓᲔᲟᲓᲐ ᲑᲔᲜᲓᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲛᲪᲘᲠᲔᲤᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲨᲣᲨᲐᲜᲐ ᲖᲐᲑᲔᲚᲐᲫᲔ ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲩᲣᲥᲜᲐ.

ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲛᲐ Ნ. ᲮᲐᲠᲐᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲝᲠᲛᲝᲛᲪᲓᲐᲐᲗᲐ ᲛᲐᲜᲗᲔᲗᲘ, ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲐᲠᲗᲕᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲙᲝ ᲖᲝᲘᲐᲫᲔ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛᲘ ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲛᲐ Ლ. ᲥᲔᲚᲔᲚᲘᲫᲔᲡ ᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲯᲐᲠᲔᲚᲘ ᲑᲐᲒᲨᲕᲔᲑᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲗ, ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲢᲐᲑᲘᲚᲔᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ. ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲐ, ᲐᲯᲐᲠᲔᲚᲛᲐ ᲑᲐᲒᲨᲕᲔᲑᲛᲐ ᲙᲘ ᲡᲐᲠᲗᲝᲗᲯᲐᲚᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲝ ᲑᲐᲠᲘᲡ ᲐᲘᲡᲐᲠᲩᲠᲓᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ ᲐᲚᲐᲠᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲡᲘᲛᲔᲝᲠᲘᲗᲝᲡ ᲓᲐ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲔᲗ.

***

ᲐᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲗ „ᲪᲔᲜᲢᲠᲝᲚᲘᲢᲘᲡ“ ᲛᲘᲯᲠᲝ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲛᲐᲜᲐᲡ ᲗᲣᲠᲥᲐᲫᲔᲛ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲯᲐᲠᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲡᲢᲐᲯᲘᲝᲠᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲑᲝᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲔᲥᲕᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓ 300 ᲛᲐᲜᲗᲘᲡ, ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ, ᲓᲘᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲢᲐᲑᲘᲚᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ, ᲡᲐᲐᲢᲝᲛᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ, ᲜᲐᲓᲔᲟᲓᲐ ᲑᲔᲜᲓᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲛᲪᲘᲠᲔᲤᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲨᲣᲨᲐᲜᲐ ᲖᲐᲑᲔᲚᲐᲫᲔ ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲩᲣᲥᲜᲐ.

ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲛᲐ ნ. ᲮᲐᲠᲐᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲝᲠᲛᲝᲛᲪᲓᲐᲐᲗᲐ ᲛᲐᲜᲗᲔᲗᲘ, ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲐᲠᲗᲕᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲙᲝ ᲖᲝᲘᲐᲫᲔ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛᲘ ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲛᲐ ᲚᲘᲚᲘᲐ ᲩᲘᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔᲡ ᲛᲝᲡᲚᲣᲚᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲘᲥᲐᲓᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲗᲐᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲘᲜᲔ ᲮᲐᲚᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲘᲜᲐᲛᲐᲗᲐ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ, ᲐᲯᲐᲠᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲘᲡᲔᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲘᲛᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ, ᲕᲘᲜᲪ ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ᲣᲓᲒᲐᲡ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐ.

ᲛᲔᲠᲩᲘᲠᲐᲛᲔ ᲠᲔᲪᲐᲕᲔᲓ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ, ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲗ, ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲠᲐ ᲣᲭᲘᲠᲗ ᲗᲐᲛᲐᲗ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲝᲣᲚᲔᲑᲘ. ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡᲐᲜ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ, ᲕᲘᲜ ᲠᲘᲗ ᲓᲐᲘᲬᲘᲠᲐ ᲓᲐᲮᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗ, ᲕᲘᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲐ ᲗᲐᲛᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲩᲛᲘᲜᲐᲗ ᲔᲠᲗᲛᲜᲔᲗᲘ ᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ...

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲐᲢᲝᲜᲘᲜᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲯᲐᲫᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲪᲘᲣᲠᲘᲗ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲖᲝᲒᲘ ᲒᲐᲘᲦᲝ — ᲡᲣᲚ ᲝᲠᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲛᲐᲜᲗᲔᲗᲘ. ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ. ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ, ᲛᲐᲠᲗᲘᲕᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲘᲐᲠᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲢᲙᲑᲘᲚᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲝᲒᲠᲜᲔᲑᲘ. ᲓᲐ ᲮᲔᲚᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲯᲕᲘᲐ ᲚᲐᲛᲐᲗᲘ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲡᲐᲠᲗᲘᲩᲚᲐᲨᲘ ᲓᲠᲝᲗᲐᲑᲘᲗ ᲩᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 110 ᲝᲯᲐᲮᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲘᲣᲠᲘ ᲜᲐᲢᲠᲘᲫᲘᲡ ᲐᲩᲘᲥᲔᲗᲘ ᲝᲭᲠᲘᲗ ᲒᲣᲚᲥᲐᲜᲓᲔ ᲓᲐ ᲓᲘᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛᲘ ᲛᲐᲘᲐ ᲓᲐᲠᲩᲘᲐᲛ ᲠᲒᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲐᲫᲔ-ᲙᲝᲜᲪᲔᲚᲘᲫᲔᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲡ 300 ᲛᲐᲜᲗᲘᲡ, ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ, ᲓᲘᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲢᲐᲑᲘᲚᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ, ᲡᲐᲐᲢᲝᲛᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ, ᲜᲐᲓᲔᲟᲓᲐ ᲑᲔᲜᲓᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲝᲗᲮᲘ ᲛᲪᲘᲠᲔᲤᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲨᲣᲨᲐᲜᲐ ᲖᲐᲑᲔᲚᲐᲫᲔ ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲩᲣᲥᲜᲐ.

ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲛᲐ ნ. ᲮᲐᲠᲐᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲝᲠᲛᲝᲛᲪᲓᲐᲐᲗᲐ ᲛᲐᲜᲗᲔᲗᲘ, ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲩᲣᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲐᲠᲗᲕᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲡ ᲒᲣᲚᲘᲙᲝ ᲖᲝᲘᲐᲫᲔ.

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲓᲒᲘᲚᲔᲛᲘ ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲛᲐ Ლ. ᲥᲔᲚᲔᲚᲘᲫᲔᲡᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲯᲐᲠᲔᲚᲘ ᲑᲐᲒᲨᲕᲔᲑᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲗ, ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲢᲐᲑᲘᲚᲔᲣᲚᲘᲗ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲐ. ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲐ, ᲐᲯᲐᲠᲔᲚᲛᲐ ᲑᲐᲒᲨᲕᲔᲑᲛᲐ ᲙᲘ ᲡᲐᲠᲗᲝᲗᲯᲐᲚᲘᲗ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲝ ᲑᲐᲠᲘᲡ ᲐᲘᲡᲐᲠᲩᲠᲓᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ ᲐᲚᲐᲠᲘ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲡᲘᲛᲔᲝᲠᲘᲗᲝᲡ ᲓᲐ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲐᲓᲔᲗ.

ᲛᲐᲡᲬᲘᲜᲐᲗ „ᲪᲔᲜᲢᲠᲝᲚᲘᲢᲘᲡ“ ᲛᲘᲯᲠᲝ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲛᲐᲜᲐᲡ ᲗᲣᲠᲥᲐᲫᲔᲛ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲯᲐᲠᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲡᲢᲐᲯᲘᲝᲠᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲑᲝᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲔᲥᲕᲡᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓ 300 ᲛᲐᲜᲗᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲮᲣᲚᲣᲚᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ ᲘᲠᲘᲜᲐ ᲩᲐᲮᲣᲜᲝᲕᲐ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲤᲝᲡᲢᲐᲨᲘ ᲣᲛᲐᲠᲐᲕᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲛᲝᲡᲚᲣᲚᲘ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲡᲘᲥᲐᲓᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲗᲐᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲛᲐᲛᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲛᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲛᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲒᲘᲗᲮᲠᲠᲗᲑᲗ.

ავტოპორტრეტი

ლილი კაჭარავა

ლილი კაჭარავა „სამოციანელ“ მხატვართა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი შემოქმედების ყველაზე ფასეული მხარე ის არის, რომ ქართულ სახვით ხელოვნებაში მოვიდა კიდევ ერთი მაძიებელი ბუნების მხატვარი, რომლის გამუდმებულმა სწრაფვამ პროფესიული სრულყოფისაკენ, გამომსახველობის ახალი, წინააღმდეგობებით აღსავსე შემოქმედებითი გზისაკენ, განსაზღვრა მომავალში მხატვრის შემოქმედებითი წარმატებები და შეიტანა თავისი მოკრძალებული წვლილი სახვითი ხელოვნების განვითარების საქმეში.

ლ. კაჭარავას მხატვრული ინტერესების სფერო მრავალფეროვანია. იგი სრულყოფილად მუშაობს როგორც პეიზაჟის, პორტრეტის, ასევე ნატურმორტის ჟანრში. თემის შესაბამისად ცვლის ფერთა გამებსა და წერის ტექნიკას. იყენებს სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. თავისი ფერწერული ნაწარმოებებით სისტემატურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო სამხატვრო გამოფენაზე. თბილისში სხვადასხვა დროს მოეწყო მხატვრის ნამუშევართა ორი პერსონალური გამოფენა: პირველი 1980 წელს, მეორე 1989 წელს, მიძღვნილი მხატვრის საიუბილეო თარიღისადმი. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო მხატვრის თითქმის 3 ათეული წლის შემოქმედებითი მუშაობის ანგარიში.

როგორც ცნობილია, მხატვრის შემოქმედების პირველი ნაბიჯები დაკავშირებულია პორტრეტულ ჟანრთან. მან ჯერ სადიპლომო ნამუშევრით „მხატვრის პორტრეტი“ გააკეთა სერიოზული განაცხადი თავისებური, საინტერესო პორტრეტისა და იმ დროიდანვე დამკვიდრდა აზრი, რომ მომავალში მხატვრის ერთადერთი თემა პორტრეტი იქნებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში გამოიკვეთა კიდევ ორი ჟანრი — პეიზაჟი და ნატურმორტი.

პორტრეტი, როგორც ვთქვით, ლილი კაჭარავას ძირითადი მოწოდებაა. იგი მოგვევლინა დამოუკიდებელი ხელნერის მქონე შემოქმედად ამ დარგში. როგორც პოეტი — ლირიკოსი, მხატვარი აკვირდება თავის მოდელს და ტილოზე გადააქვს როგორც გარეგნული მსგავსება, ასევე შინაგანი ფსიქოლოგიური თავისებურებანი.

მხატვრის შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს გალერეა ცნობილ მოღვაწეთა პორტრეტებისა, რომლებშიც ძირითადად ჩვენი რესპუბლიკის ინტელიგენციის წარმომადგენლებია გამოსახული. პორტრეტები ერთმანეთისაგან გამოირჩევა და განსხვავდება ხასიათების დამაჯერებლად, შინაგანი ხასიათის ძალდაუტანებლად და გამოსახვის ზედმინევნით ზუსტად მიგნებული ინდივიდუალური ნიშნებით, მოვლენებით და აგრეთვე, თანამედროვეთა სულიერ ინტერესებს უსვამს ხაზს: მსახიობის, ქალიშვილის, მხატვრების ნაზი ჯალაღონიას და ლევ ბოიახჩევის, ელიკო ხახუტაშვილის, ნანი ბრეგვაძის, ასმათ ქანდაურაშვილისა და სხვა პორტრეტები, რომლებშიც მკაფიოდაა გამოვლენილი შემოქმედი ადამიანის დამოკიდებულება გარემომცველ სამყაროსთან, მის საინტერესო და ყოველდღიურ სახეცვლილებებთან. ამ პორტრეტებში იკვეთება ავტორისეული პოზიცია — ფერის საშუალებით მიაღწიოს მხატვრული გამომსახველობის მაქსიმალურ ეფექტს. ფერთა თავისებური წყობა მხატვრის თვითმყოფადობაზე მიგვითითებს.

მხატვრის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უჭირავს ნატურმორტების სერიებს. მათი ფერწერული და კომპოზიციური ღირსებები მხატვრის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობის გამოცდილებით არის განპირობებული და მაღალი პროფესიული ოსტატობით არის შესრულებული: „ტყის ნატურმორტი“, „ნატურმორტი ჩიტის ბუდით“, „ნატურმორტი სოკოებით“, სადაც ასახულია ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, უმნიშვნელო, მაგრამ შემოქმედის თვალით დანახული ტყის ჩუმი მომხიბვლელობა. ავტორი ნატურმორტების შექმნისას ხშირად მიმართავს ვარიაციებს: „გვირილები

ნანი ბრეგვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასმათ ქანდაურაშვილი

ქალიშვილის პორტრეტი

ხილის ლარნაკით", „ქრიზანტემები ხილით და ჩაიდნით", „ყვავილები მსხლით", „მინდვრის ყვავილები ხილის ლარნაკით", „მინდვრის ყვავილები", „ჩაიდანი, მსხალი და ყურძენი" და მრავალი სხვა. ნატურმორტები ლაკონურია, კომპოზიციურად მაქსიმალურად ორგანიზებული და აღინიშნება შესრულების სისადავითა და პოეტურობით, ხოლო დამაჯერებლობას მხატვარი თავისი მაღალი ოსტატობით აღწევს.

ნატურმორტების სერიები მხატვრის ეროვნულ თვითმყოფადობაზე, მისი ნიჭის მრავალფეროვნებასა და მრავალგვაროვანებაზე, ფერადოვანი პალიტრის სიმდიდრეზე მიუთითებს.

ლილი კაჭარავას ფერნერული პეიზაჟები გამოირჩევა თემის სახეობათა თავისებური გამომსახველობით, დახვეწილი ემოციურობით, პლასტიკური ენით და შესრულების მაღალპროფესიული ოსტატობით. მხატვრის ხშირი მოგზაურობის შედეგად (მას მოვლილი აქვს ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხე-კუნჭული) მის შემოქმედებაში მშობლიური ქვეყნის ბუნებამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. დიდია მხატვრის სიყვარული მშობლიური თბილისისადმი, განსაკუთრებით მისი ძველი უბნებისადმი, მხატვარი არაერთხელ უბრუნდება ძველ თბილისს, იმ ქალაქის თემას, რომელშიც იზრდებოდა, სწავლობდა და ცხოვრობს. პეიზაჟის რამდენიმე ათეული ვარიანტი აქვს შექმნილი მხატვარს ძველი თბილისის რიკულებიანი აივნებით, ვინრო მოკირწყლული ქუჩებით, ეზოებითა და მოედნებით, ხელოსნების უბნებით: ყვავილების მინის, ნახშირისა და ხილის გამყიდველებით. ნამუშევრები აღიქმება როგორც თეატრალურ-ეგზოტიკური საანახობები. თითოეული ნაწარმოები სხვადასხვა ემოციას, განწყობილებას ინ-

ნაზი ჯალალიანის პორტრეტი

ვევს და ამა თუ იმ ადგილმდებარეობის ინდივიდუალური ნიშანთვისებების მხატვრულ განსხვეულებას წარმოადგენს.

აღსანიშნავია აგრეთვე დაღესტნის, ბალტიისპირეთისა და სხვა პეიზაჟების სერია, რომლებშიც მაღალმხატვრულადაა ასახული ამ კუთხეების ბუნებისათვის დამახასიათებელი კოლორიტი.

მხატვარ ლილი კაჭარავას მთელი შემოქმედება კი მისი ხალხის, ერისა და მამულის სადიდებელი ჰიმნია ემოციურ ფერებში აღიერებული.

ლალი გიორგოგიანი



ცისფერი ალვანი



ვერცხლის ჭურჭ

ნუგზარ აფხაზავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისლი შუადღისას

მხატვარი ნანი შალიკაშვილი

— გამარჯობა, ნინიკო, — გაუბედავად თქვა იაგომ და შეჩერდა. სული ეხუთებოდა. — მოვედი, ნინიკო.

ქალი იღიმებოდა. მარტოოდენ ბაგეებით კი არ იღიმებოდა, თვალებიც უბრწყინავდა, ხალისითა და ბედნიერებით ჰქონდა სავსე, თითქოს არასოდეს არაფერს შეუწუხებიაო, ფრჩხილიც არ წამოსტკენიაო, ამ ქვეყნად რაც უნატრია, ყველაფერი ასრულებიაო.

იაგომ ერთხანს ჩუმად უყურა მოღიმარ ქალს. თითქოს ნისლის თხელი ფარდა ჰყოფდა მისგან... მერე ფრთხილად გადადგა ნაბიჯი. დასიცხული ბალახი შეტოკდა, იქიდან კალიამ ისკუპა, მინიატურულ მწვანე რაკეტასავით აიჭრა ჰაერში, სიფრიფანა, გამჭვირვალე ფრთები აეშრიალა, რკინის მესერში გაძვრა, მოზრდილი რკალი მოხაზა, პაწია კორდს გადაუფრინა და შავი მარმარილოთი მოპირკეთებული ცოკოლის მიღმა ბალახში ჩაეშვა. კაცმა უაზრო მზერა მიადევნა.

მაგიდას ლაღად მხრებგაშლილი ნაძვის უმზეო ჩრდილი ეფინა. იაგომ გაზეთის შეკრულა გახსნა, ის გაზეთი მაგიდაზე გაშალა, ხელის გულით გაასწორა, ზედ ერთი ბოთლი „თელიანი", ერთი „ბორჯომი", ერთიც წითელი ვაშლი დაალაგა. ძერე ჭიშკარს მიადგა და გამოაღო. აგურისფერი ფილებით მოფენილი ბილიკი ორად ჰყოფდა რკინის მესრით შემოფარგლულ მიწის ნაკვეთს. მარჯვნივ ნინიკო ინვა, მარცხნივ კი ჯერ თავისუფალი იყო ადგილი, თავის რიგს ელოდებოდა მოთმინებით.

დეკორატიულ ბალახში აქა-იქ სარეველებს ამოეყოთ თავი. იაგომ ცალ მუხლზე დაიჩოქა, სარეველებს წასწვდა და სათითაოდ ამოძირკვა. ადვილად ითხრებოდა. ფხვიერი იყო მიწა, ფხვიერი და შავი.

— ერთმა წელმა განვლო, ნინიკო...

ერთ სარეველას, ფოთლები ნეკერჩხლისას რომ მიუგავდა, ჭიანჭველების ბუდე ამოჰყვა. იაგო ერთხანს თვალგაშტერებული დაჰყურებდა ანრიალებულ ჭიანჭველეთს, მერე გულმოდგინედ დაბერტყა სარეველას ფესვები და მოღვენთილი მცენარე ცოკოლს მიღმა გადაისროლა.

— მთელმა წელიწადმა... სამას სამოცდახუთმა ღღემ... და სამას სამოცდახუთმა ღამემ..

ისევ ჩამოეფარა ნინიკოს მოღიმარ პორტრეტს ნისლი. აეწვა, კეფა გაუხურდა. თითებით მოასწორა ის ადგილები, სადაც კეფა გაუხურდა. თითებით მოასწორა ის ადგილები, სადაც სარეველები ამოძირკვა, ფრთხილად გადაუსვა ხელის გული დეკორატიულ ბალახს. მერე წამოდგა, მუხლისთავები ანგარიშმიუცემლად დაიფერთხა, ჭიშკარში გავიდა და ნელა გაიხურა.

მაგიდის ქვეშ რკინის ფურცლებისაგან შეკრული მომცრო შავი ყუთი იყო მიწაში ჩაცემენტებული. კარადის მაგივრობას სწევდა — ცოცხს, ვედროს, კიდეჩამოტეხილ ჭიქას, მარილს ინახავდნენ შიგ. არ კეტავდნენ. კარი გამოაღო. ჭიქა ვერ იპოვა (მაინც თუ გააყოლა ხელს ვიღაც ლოთმა), საყვედურით გააქნი თავი. „თელიანის“ პირს ოქროსფერი ქაღალდი შემოაცალა. კორპსაძრობი, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა. მეზობელ ტირიფს შემხმარი ტოტი წაატეხა, კორპს ჩაანცა და ბოთლში ჩააგდო. „ბორჯომი“ კბილით გახსნა. ცალ ხელში „თელიანი“ ეჭირა, მეორეში — „ბორჯომი“ და გარედან მოუარა საფლავს, პორტრეტისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე.

ნინიკოსაც არ მოუშორებია მზერა, თავისი განუმეორებელი ღიმილით უყურებდა როგორ წაუქცია „თელიანი“, დაახლოებით მესამედი მიმოაჩქეფა დეკორატიულ ბალახზე. სწრაფად შეირსტა შავი სითხე გამომშრალმა, მწყურვალმა მიწამ. მერე ღრმად ამოისუნთქა იაგომ, თავი გადასწია, ცას შეხედა და ბოთლში დარჩენილი ღვინო რამდენიმე ყლუპით გამოსცალა. ერთი ღრმად ჩაისუნთქა, ამოსუნთქვას გული ამოტანაა თან, ახლა „ბორჯომი“ მოსვა და რაც დარჩა, ისიც საფლავზე მიმოაქცია. ცარიელი ბოთლები ბალახში დაყარა, შებრუნდა, ნაძვის ჩრდილს შეეფარა, ზურგით ხის ტანს მიეყრდნო, გულხელი დაიკრიფა და გაირინდა.

ნინიკო ღიმილით ადევნებდა თვალს მის ყოველ მოძრაობას.

იაგო უსაუზმო იყო, ამიტომ „თელიანმა“ სწრაფად დაუარა ძარღვებში, ოდნავ გააბრუა. ნელ-ნელა დასძალა ნაღველმა. ეს ერთი წელიწადია ასე ემართებოდა. თორემ ადრე სასმელი მყისიერად ახალისებდა, სევდასა და საფიქრალს უმსუბუქებდა გასაოცრად.

ახლაც, ისევე როგორც ყოველთვის, როცა აქ ამოვიდოდა ხოლმე, ის პირველი შეხვედრა დაუდგა თვალწინ...

სამხატვრო სალონთან, ბებერი ჭადრის ჭრელ ჩრდილში იდვნენ ნინიკო და ოთარი. ივლისი იწურებოდა. ისე ცხელოდა, გეგონებოდა, თბილისქალაქში მზის პროტუბერანცი ჩამოღვრილაო. ოთარმა დაუძახა. მივიდა, უცნობ ქალს შეხედდა და ის იყო კიდეც, სმენაც დაკარგა და ენაც ჩაუვარდა. თვალებადღა იქცა და იმითაც მარტო ნინიკოს ხედავდა, თითქოს ოთარი საერთოდ არ არსებულიყოს ამ ქვეყნად. ქვეშეცნეულად მიხვდა იაგო, რომ იმ წუთს საბოლოოდ დაესვა ჯვარი ყველაფერს, რაც აქამდე ასულდგმულებდა, აცოცხლებდა. წამით უკუნეთში ჩაიძირა კაცი, ხოლო მეორე წამს სამზეოზე რომ ამოყვინთა, სულ სხვა, დღემდის მისთვის უცნობ სამყაროში აღმოჩნდა ანაზდად. ხოლო როცა, ბოლოს და ბოლოს, გაყინული თუ გაქვავებული დრო დაიძრა და იაგოსაც აზროვნების უნარი დაუბრუნდა, უკვე მტკიცედ იცოდა, რომ ყველაფერი გათავდა და არსებობას ამიერიდან მხოლოდ ამ ქალის სიახლოვეს თუ შეძლებდა, თორემ სხვანაირად წასული იყო მისი საქმე.

თვითონ კი, თვითონ მიხვდა ამას, მაგრამ არავისთვის გაუმჟღავნებია თავისი ხვაშიადი. ამის შემდეგ შინ თუ გარეთ მთვარეულივით დადიოდა და გულში უწმორად დაეტარებინა თავის ტკბილ-მწარე საიდუმლოს. ასე ეგონა, ვერავინ ვერაფერს ხვდებაო, მაგრამ სასტიკად სცდებოდა, თურმე...

ისევ აიჭრა ჰაერში მინიატიურული რაკეტა. შეიძლება, ისევ ის კალია იყო, შეიძლება — სხვა. მზეზე გაალვა თავისი გამჭვირვალე ფრთები და ზუსტად იაგოს ფეხებთან ჩაეშვა ბალახში. ღმერთმა უშველოს!.. კაცი გამოერკვა, მიმოიხედა და უცებ ელდა ეცა — აღმართში ოთარი ამოდიოდა, გაძეძგილი ჩანთა მოჰქონდა, აქეთ-იქიდან ხუთ-ხუთი წლის ტყუპი ბიჭები მოჰყვებოდა, უკან დაი მოსდევდა, მაკა, იაგოს შემყურე გაუთხოვარი რომ დარჩა მოაქჟამამდის.

იაგო ბეჭებში მოიხარა, მოიკუნტა, ბოთლებს ხელი წამოავლო, იასამნისა და ვარდის ბუჩქები იფარა, საფლავებს შორის გაძვრა-გამოძვრა და იმ ადგილს კარგად რომ დაშორდა, მაშინღა გაახსენდა მაგიდაზე დატოვებული წითელი ვაშლი. მაგრამ მყისვე თავი დაიმშვიდა, არა მგონია, ის ვაშლი იმის სამხილად გამოდგეს, მაინცდამაინც მე რომ ვიყავით ნინიკოს საფლავზეო.

„რაღა ახლა მოუნდათ ამოსვლა, ამ გაგანია შუადღისას! — გაიფიქრა სამშვიდობოს გასულმა. — კიდევ კარგი, კალიამ გამომაფხიზლა, თორემ...“

თუმცა რა „თორემ...“ მერე რა, თუნდაც მოესწრო საფლავზე ოთარს! იქნება არც გაჰკვირვებოდა — აკი მეგობრები იყვნენ... აქეთ ვიყავი და შემოვიარეო, ეტყოდა... აი, მაკა კი მიხვდებოდა. ქალია და მიხვდებოდა, უთუოდ...

●

„მოხვედი?“.

„მოვედი, ნინიკო. აქა ვარ...“

„ერთი რამ უნდა გითხრა...“

„მითხარი, ნინიკო...“

„მე ვიცოდი, რომ გიყვარდი. პირველი ნახვისთანავე შეგიყვარდი. უღმერთოდ და უიმედოდ“.

„ნინიკო...“

„ვიცოდი, სულ ჩემზე რომ ფიქრობდი, ჩემით სუნთქავდი, ჩემით არსებობდი. ისე, რომ არაფრის იმედი არ გქონია.“

„ნინიკო...“

„არც არაფერს ითხოვდი ჩემგან. არც არაფერს მამადლიდი“.

„ნინიკო“...

„ახლა მივდივარ.“

„პო, აღარაფერი მიშველის... ვიცი, უჩემოდ გაგიჭირდება... ამიტომ ხანდახან, როცა უსაშველოდ მოგენატრები, უთუოდ ამოდი ჩემთან. იარე, მაგრამ, გეხვეწები, ნურავინ გაიგებს ამას. მარტო მე და შენ ვიცოდეთ. კარგი?“

„პო...“

„წადი ახლა. ოღონდ ჯერ მოიწი ცოტათი, თავზე ხელი გადაგისვა. ასე. ახლა კი წადი. უკვე მშვიდად ვარ. წადი. და ამმიარე ხანდახან. მაგრამ, ხომ გითხარი, ქვეყნად ნურავინ გაიგებს ამას. პო? გეხვეწები...“

●

შუადღის თაკარა მზე დაჰკაშკაშებდა სასაფლაოს ციცაბო დაღმართში მიმავალ ახალგაზრდა კაცს. ის კი, თავჩაქინდრული, ბეჭებში მოხრილი, მთვრალივით მიბარბაცებდა, ფეხარეული მიდიოდა და ეგონა, ნისლში მივაბიჯებენ, ისე ბუნდოვნად ხედავდა მტვრიან ბილიკს, მიწაზე გაბნეულ კენჭებს შორის ჩახლართულ-ჩაყვითლებულ ჭანგა ბალახს, შრიალით აფრენილ კალიას და, საერთოდ, ყველაფერს... კიდევ კარგი, ვერც გამგელები, უფრო სწორად, სასაფლაოს აღმართში ამომავალნი ვერ ხედავდნენ მის სახესა და თვალებს, თუმცა, არც აინტერესებდათ — ყველას თავ-თავის საქმეზე მიეჩქარებოდა, თავ-თავისი საფიქრალი ჰქონდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაუკითხეთ პატარებს

ნაზი თარგამაძე

„ეს ქალაქი ვისია“

ვთამაშობდით ბავშვები,
მზია, მე და ცისია,
გავძახოდით ერთმანეთს:
„ეს ქალაქი ვისია“!

— ეს თბილისი ვისია!
უცებ სჭექა მზიამ.
— ვისია და მთლიან
საქართველოსია!

— საქართველო ვისია!
ხმას უმატა ცისიამ,
— ვინც კი მისი ღირსია —
საქართველო მისია!

საქართველო შენია,
საქართველო ჩემია,
საქართველო ჩვენია,
ვისაც თავს გვირჩევნია.

საქართველო დედაა
ჩვენი, — განა სხვისია,
ჩვენი დედა ვისია!
— „ჩემ და ჩემი ძმისია!“

დილის სიმღერა

ამოწვერილა შემოდგომის მზე
თვალს აფახულებს ფრთხილად,
ნანული მალე გამოიღვიძე
კარს მოგვდგომია დილა.

ვარდის ფურცლებზე ცვარი ციაგებს
მზის სხივს გაჰყვება მალე,
მინდა იხილო მისი მშვენება,
ნანუკი, გენაცვალე.

ფოთლების ნოხზეც მინდა გატარო,
ქარს უქსოვია გუშინ,
შემოდგომის მზე ჩემო პატარავ,
სითბოს ჩაგიღვრის გულში.

რადგან ამ ქვეყნად შემოდგომის მზე
არსად ისე არ მზეობს,
როგორც ჩვენს დედა-საქართველოში
ნანული, ჩემო მზეო.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება დემოგრაფიულ ფონდში.

ფუშანა მგელაძე

წერილი ანას

გაზაფხულმა მთებს ჩამოხსნა
თოვლის თეთრი საფარი.
ყვავილებით მოიქარგა.
ჩვენი სოფლის მთა-ბარი.
ღორი გოჭებს ასეირნებს,
ძროხას დასდევს ბოჩოლა,
ბევრი კვერცხი დააგროვეს
ნიბლიამ და ქოჩორამ.
ბებო აცხობს ხაჭაპურებს,
ფისო ფშვინავს ბუხართან,
გუშინ მელა მოცუნცულდა
ჩვენი ეზოს მუხასთან.
ყურშა ლეკვი გაეკიდა,
ატყდა წივილ-კივილი
ხეზე მამალს გაეღვიძა
და აგვიკლო ყივილით.
სოფლად ბევრი საქმე არის,
ვუვლით ბაღს და ვენახებს;
პაპა, შენთან ბოდიშს ვიხდი,
ვერ ჩამოველ, ვერ განახე.
მე პირიქით, აქეთ გელი
რომ ახარო ნერგები,
გთხოვ, სოფელში გაატარო,
შენი არდადეგები.
ანამ თქვა: — მართალია,
საქმეს უნდა ვეწიოთ,
პაპას უნდა დავუჯეროთ
და ზაფხულში ვეწვიოთ.

მელია და ყვანჩალა

— მელაო, კუდაგრძელაო,
ხომ ხედავ, უკვე ბნელაო,
დაბუდებულან ქათმები
და კურკურებენ ნელაო.
მიდი, გაპკარი ბრჭყალები
ააკრიახე ყველაო!
— რას ამბობ, ყვავო, ყვანჩალავ,
თავს გამიტეხავს გელაო.
— ჩვენ რას დაგვაკლებს ის ბიჭი?!
პატარა მუჭის — ხელაო?
მოდი, მოვტაცოთ ყვინჩილა,
დეზებიანი ჭრელაო.
გათენდა, დილა გაბრწყინდა,
გზაზე გამოჩნდა გელაო, —
საით გაფრინდა ყვანჩალა?!
სად გაპქრა კუდა-მელაო!?

ბებოს ჩიტი

იქნებ ჭამო ფაფა?
ან მიირთვა ვაშლი?
გენაცვალოს ბებო,
თოჯინას ნუ დაშლი.
ჭუჭყიანი ხელით,
წიგნებს ნუ გადაშლი.
არ გათელო საწოლი,
არ დაღვარო მაწონი,
არ გატეხო თეფში,
არ აიღო დანა!
დაგიჯერებს განა?
ვინ არის ეს ბავშვი? —
ბებოს ჩიტი ანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ურთიერთმეგობრობის ხელშეკრულება ზრუნვით

დავით იაკობაშვილის ფოტო

თბილისის ცენტრალური უნივერმაღის
თანამშრომლები ყუნეთის ბავშვთა სახლში

ფართოდ გაშლილ ეზოს მაღალი ღობე აკრავს. შესასვლელის კარებთან ფირფიტაზე წარწერაა — ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლი. წარწერა მგზავრს აჩერებს, იგი მას მეორედ კითხულობს და შემდეგ მძიმე ნაბიჯით განაგრძობს გზას.

ღობის მიღმა პატარების ჟრიამული ისმის. აქ ხომ მშობლის სიყვარულს მოკლებულ ბავშვთა ნამდვილი თბილი სავანეა — სამიდან ათი წლის ასაკამდე ბავშვები იზრდებიან ყუნეთის საბავშვო სახლში. აღმზრდელთა კოლექტივი დიდი ყურადღებით ეკიდება და მზრუნველობს პატარებს, რომლებსაც მეტწილად ჰყავთ გულქვა დედები — მოვალეობის მიზნით ორ-სამ წელიწადში მხოლოდ ერთხელ რამდენიმე წუთით რომ შემოივლიან. „მოუცლელობას“ იმიზეზებენ: ძლივს მეგობარი ვიშოვე და ამის გულისათვის დავტოვოო? — ირიბად უთითებენ ცეროდენაზე.

თითქოს მძიმე ტვირთს იცილებდნენ, შვილებს ისე თმობენ და უკან მოუხედავად გარბიან. მათი სახეები არ კრთიან გულის ნაწილის გასხვისებით. ჩვილებს კი წარუშლელი სევდა რჩებათ თვალებში. რა საბრალონი არიან პატარები ცხოვრებას რომ მწარენარევი ბიოგრაფიით იწყებენ. ალბათ, კანონმა თავისი სიტყვა უნდა თქვას. უფლება ავყაროთ ისეთ დედას, რომელიც ორ-სამ წელიწადში ერთხელ „ახერხებს“ შვილის ამბის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაბედული ხელი

გაგებას. ამ დროს კი, რამდენია დედობას მონატრული, სბავშვო სახლებისაკენ გაწვდილი ხელით, ვისაც სურთ დედა-შვილობის ბედნიერებამ შეაბიჯოს მათ ოჯახებში, სახეებზე უკრთოდეთ დედის მადლიანი ღიმილი.

წყნეთის სბავშვო სახლის აღსაზრდელების განკარგულებაში რამდენიმე ორსართულიანი ააგარაკო კოტეჯია. ხეხილიან ვრცელ ეზოში მწვანე მოლი ხასხასებს. მყუდრო საძილე, სათამაშო ოთახები, კვების ბლოკი. ოთახების კედლებიდან მომზირალი ზღაპრების საყვარელი გმირების სამყარო. გემოვნებით გაფორმებული ინტერიერი.

სბავშვო სახლში მზრუნველი ხელი იგრძნობა ყველგან და ყველაფერში.

— ჩვენი უპირველესი მოვალეობაა მშობლიურ ალერსსმოკლებულთ შეგაგებოთ სითბო და სიყვარული, ვუწილადოთ დედის გული, — ამბობს სბავშვო სახლის დირექტორი მზია კიწმარიშვილი. — ამჟამად სახლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის კოლექტივმა დიდი ინიციატივა გამოიჩინა, ნამდვილი მეგობრობის ხელი გამოგვიწოდა...

... იმ დღეს თბილისის ცენტრალური უნივერმაღის თანამშრომლებით სავსე დარბაზში უჩვეულო ამბავი ხდებოდა. შეკრებაზე თბილისის ცენტრალური უნივერმაღის შრომითი კოლექტივისა და წყნეთის სბავშვო სახლის ურთიერთმეგობრობის ხელშეკრულება ფორმდებოდა.

— ჩვენმა კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა, წყნეთის სბავშვო სახლის ხუთ აღსაზრდელს მეურვეობა გაუწიოს, — სიტყვა წარმოთქვა უნივერმაღის დირექტორმა სულიკო კერესელიძემ. — კოლექტივის წინადადებას მხარი დაუჭირეს დირექტორის მოადგილემ რობინზონ ქავთარაძემ, პარტბიუროს მდივანმა მერი გელიაშვილმა, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ მედიკო კილასონიამ, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა მანანა ჯანაშიამ, ქალთა სბჭოს თავმჯდომარემ დალი ორჯონიკიძემ, ყველა მუშა-მოსამსახურემ.

თბილისის ცენტრალური უნივერმაღის კოლექტივისა და წყნეთის სბავშვო სახლის ურთიერთმეგობრობის ხელშეკრულებაში ნათქვამია: ცენტრალური უნივერმაღის კოლექტივი ვალდებულებას კისრულობს, მეურვეობა გაუწიოს წყნეთის სბავშვო სახლის ხუთ აღსაზრდელს, რომელთაგან ყველაზე უფროსი შვიდი წლისა: ლევან ტუშურს, ზაზა ვალელაშვილს, ირინე ქურთაულს, ნათია ქირიას, მზია ახვლედიანს. ამ მიზნით, ცენტრალური უნივერმაღის ანგარიშიდან შემნახველ სალაროში ბავშვებს გაეხსნათ პირადი ანგარიშის ანაბრები და თითოეული მათგანის ანგარიშზე ყოველთვიურად, ვიდრე სრულწლოვანი გახდება (16 წლამდე) გადაერიცხებათ 25-25 მანეთი.

საზრუნავი ხუთი ბავშვის შემნახველი სალაროს ანაბრის წიგნაკებს, აღსაზრდელების სრულწლოვანებამდე შეინახავენ ცენტრალური უნივერმაღის პროფკავშირის კომიტეტში, რის შემდეგ მფლობელებს საზეიმო ვითარებაში გადასცემენ.

ხელშეკრულებით ითვალისწინებენ: ყურადღებას მიაქცევენ შეფად აყვანილი ბავშვების ჯანმრთელობას. საჭირო შემთხვევაში გაუწევენ სამკურნალო დახმარებას.

ზაფხულობით პიონერთა ბანაკის საგზურებს შეუძენენ და უმეთვალყურეებენ, თუ როგორ ისვენებენ აღსაზრდელები.

მოსწავლეებს დაეხმარებიან სწავლის შემდგომ გაგრძელებაში, მომავალი პროფესიის არჩევაში.

თავის მხრივ, სბავშვო სახლის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა: ბავშვები ცენტრალური უნივერმაღის თანამშრომლებისათვის გამართავენ კონცერტებს, მოაწყობენ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენას, უნივერმაღის თანამშრომელთა შვილებს სბავშვო სახლში ერთობლივ ღონისძიებებზე მიიწვევენ. აღსაზრდელები კი, ოჯახური გარემოს შეჩვევის მიზნით, უნივერმაღის თანამშრომლებს ბინებში ესტუმრებიან.

ცენტრალური უნივერმაღის კოლექტივმა ასევე საყურადღებო გადაწყვეტილება მიიღო: შექმნან საქველმოქმედო ფონდი: თითოეული თანამშრომელი კვარტალში ერთხელ ხელფასიდან გაღებული თითო მანეთით (რაც საშუალოდ 600 მანეთს შეადგენს), დაეხმარება მრავალშვილიან ხელმოკლე ოჯახს, რომლის ყოველ კანდიდატურას რესპუბლიკის ქალთა სბჭო გადაწყვეტს.

შეკრებაში მონაწილეობდნენ: ჟურნალ „საქართველოს ქალის" მთავარი რედაქტორი, პოეტი მარიკა ბარათაშვილი, რესპუბლიკის ქალთა სბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზინაიდა კვაჭაძე, წყნეთის სბავშვო სახლის დირექტორი მზია კიწმარიშვილი, ოქტომბრის რაისბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, რაიონის ქალთა სბჭოს თავმჯდომარე ნანა კანდელაკი, საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ინტერნატული დაწესებულებების განყოფილების უფროსი ინსპექტორი რაისა ხუხაშვილი, ინსპექტორი მამია ჯოლია, თბილისის საქალაქო სბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ჯუანშერ ჩიჩუა, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ჭემალ ჯალიაშვილი.

ლევანის, ზაზას, ირინეს, ნათიას და მზიას გარდა სბავშვო სახლის 21 აღსაზრდელმა უნივერმაღელთა კლუბში კონცერტი გამართეს. ახლახან ჩამოყალიბებული ხალხური საკრავთა ანსამბლის (მასწავლებელი მარგო საღირაშვილი) წევრები ჩონგურს, ფანდურს, დოლსა და სალამურს უკრავდნენ. ბავშვებმა იმღერეს, იცეკვეს, ლექსები წაიკითხეს (მუსიკის მასწავლებელი ლია ქობულაშვილი). ულერდა მუსიკა. პატარებმა ელენე მიქაშავიძის „ზმინი მშვიდობას" შეასრულეს.

„მოდით, ბავშვებო, ვიმღეროთ,
რომ ყველგან იყოს მშვიდობა,
ცაში იფრინონ მტრედებმა,
მშვიდობა მარად, მშვიდობა!"

კონცერტის მონაწილე ბავშვები სათამაშოებით დაასაჩუქრეს.

თბილისის ცენტრალური უნივერმაღის კოლექტივმა სბავშვო სახლის აღსაზრდელებს მზრუნველურად გაუწოდა მშობლიური ხელი. ეს ჩინებული ინიციატივა სხვა ორგანიზაციებისათვისაც სამაგალითო და მისაბაძია.

ეთერ ჯაფარიძე

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემოგრაფია ერთი რაიონის სარკეში

მოსახლეობა 80600 კაცი
ქალი — 43120 (51 პროცენტი)

დინამიკა

გორის რაიონისთვის დამახასიათებელია მოსახლეობის ზრდის ტემპის შემცირება. ეს კარგად ჩანს ორი შვიდწლიანი მონაკვეთიდანაც — 1973—1980 და 1980—1987 წლები. მატების ტემპი მეორე შვიდწლედში — 1,2 პროცენტით ნაკლებია, რაც გამოწვეულია ბუნებრივი მატების შემცირებით და მიგრაციით. თუ ბუნებრივი მატების ტემპის მიხედვით ვიმსჯელებთ, 1980 დან 1986 წლამდე რაიონის მოსახლეობა უნდა გაზრდილიყო 4000 კაცით. მატებამ შეადგინა 1100 კაცი. 2900 კაცი მიგრაციული დანაკარგია.

შობადობა

ეს მაჩვენებელიც შემცირების ტენდენციით ხასიათდება. შობადობის ახლანდელი დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება 10 წლის წინანდელს. ამას მრავალი მიზეზი აქვს. ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს წარმოების სფეროში ქალების მასობრივად ჩაბმა. თუმცაღა, გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ქალთა საზოგადოებრივ სფეროში ჩაბმისა და შობადობის მაჩვენებელს შორის დადებითი შეფარდებაა. სიმართლეს თუ ვიტყვით, არ გვაქვს მონაცემები, რამდენი ქალია ჩაბმული საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში და რამდენი კაცი, ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სოფლად ქალები ინახავენ კაცებს.

სიკვდილიანობა

ეს მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ბოლო ათი წლის მანძილზე იგი გაიზარდა 0,9 პროცენტით და ამჟამად შეადგენს 10,1 პროცენტს. მოსახლეობაში შეინიშნება დაბერების ტენდენციაც. ძალზე სწრაფად იზრდება 55 წელს გადაცილებული მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობა და მათი წილი, რაც ზრდის სიკვდილიანობის კოეფიციენტს. ამ ასაკში ქალების წილი საკმაოდ დიდია (67 პროცენტი).

ქორწინება

აქ შემცირების ტენდენციაა. 1960 წელს ქორწინების მაჩვენებელი ყოველ 1000 კაცზე 10 პროცენტს შეადგენდა. ეს მაჩვენებელი 1975 წელს 9, ხოლო ამჟამად — 7,3 პროცენტით შემცირდა. ამის პირველი მიზეზია ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაცია.

განქორწინება

ეს მაჩვენებელი სტაბილურია. სოფლის ოჯახი ქალაქისაზე გაცილებით მტკიცეა. განქორწინება სოფელში 0,2—0,3 ხოლო ქალაქ გორში — 0,9 პროცენტია.

სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა

რაიონში შეინიშნება ქალების სიჭარბე. აქ ორი ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ: სამამულო ომი და მიგრაცია. პირველმა გამოიწვია ასაკობრივ ჯგუფებში (1941—1945 წლებში დაბადებულები) ქალების მნიშვნელოვანი სიჭარბე (საპენსიო ასაკის მოსახლეობის 69 პროცენტი ქალია), მეორე ფაქტორმა კი გამოიწვია შრომის უნარიანი ასაკის მოსახლეებში ქალების წილის ზრდა (50,8 პროცენტი მაშინ, როცა ქალების წილი რაიონებში 51,2 პროცენტია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქალთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაბალია (ეს იქიდანაც ჩანს, რომ საპენსიო ასაკის ქალების აბსოლუტური რაოდენობა 2,2-ჯერ მეტია).

რამდენიმე მონაცემი:

რაიონში 46 საბავშვო ბაღია;

ბაგა-ბაღებში დადის 3026 ბავშვი;

ბაგა-ბაღებში ირიცხება ბაშვების 52 პროცენტი (რესპუბლიკური მაჩვენებელი 48 პროცენტია). რაიონში არის დედმამით ობოლი 34, დედით ან მამით ობოლი 85 ბავშვი.

მარტოხელა დედაა 137.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი საინტერესო ცნობას გვანვდის თავის წიგნში „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები“.

ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წლის 25 იანვარს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში, აკადემიკოს გ. ახვლედიანის კაბინეტში შეკრებილან აღ. აბაშელი, გ. ქიქოძე, ა. წულუკიძე, თ. სახოკია, შ. ღამბაშიძე, ვ. თოფურია, აკ. ვასაძე, გ. ჩიტაია, გ. ჯიბლაძე, გ. ნატროშვილი, შ. აფხაიძე, აკ. ფალავა, უ. ჯაფარიძე და სხვა გამოჩენილი ადამიანები. შეკრების მიზანი საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა გახლდათ.

1977 წელს რუსულ ენაზე დაისტამბა მეცნიერებათა კანდიდატის გენერალ-მაიორის ი. ბაბალაშვილის წიგნი — „საქართველო დიდი სამამულო ომის წლებში. 1941—1945“. აქ საინტერესო ცნობებია მოტანილი. 1939 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობა 3.540.000 კაცი იყო, ხოლო 1946 წლის იანვრისათვის — 3.232.700 კაცი, ე. ი. 307.300 კაცით ნაკლები. საქართველომ დიდ სამამულო ომში დაკარგა მოსახლეობის დაახლოებით 9 პროცენტი, ამას დაუმატეთ 1944 წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული 44.914 ინვალიდი: მარტო პირველი და მეორე ჯგუფისა — 23.452 კაცი. ი. ბაბალაშვილს ასეთი მონაცემიც ჰქონდა: დიდ სამამულო ომში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 19, ხოლო საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის 21 პროცენტი.

მაინც, რამ გადაარჩინა ქართველები? ისტორიამ რამდენ ერსა თუ ხალხს გამოუტანა მკაცრი განაჩენი. ქართველი ხალხი სხვა მოვლენებთან ერთად გადაარჩინა სწორმა დემოგრაფიულმა მექანიზმმა, ეთნოსის გადანაწილებამ ეროვნულ ტერიტორიაზე და ბუნებრივი მატების ინტენსიურობამ. ძალზე ძნელია დაითვალოს, რამდენი ომი გადავიტანეთ. საქართველოს ბიზანტიასთან გადახდა 500, არაბებთან — 400, მონღოლებთან — 100, თურქ-სელჯუკებთან — 100, თურქ-ოსმალებთან — 400, ფეოდალურ დაღესტანთან — 500, ირანთან — 2300 წლიანი ომები.

ხვარაზმელებმა და მონღოლებმა მილიონზე მეტი ქართველი შეიწირეს. თბილისში ჯალალედინმა 100.000 კაცი მოსპო, 1263 წელს ბერქა-ყაენის ურდოებმა ივრისპირეთი მოსპეს, თემურლენგმა რვა გზის შემოსევით მილიონამდე კაცი შეიწირა.

გადიოდა „ჟამი სილტოვლისა“ და საქართველო ძალას იკრებდა. ტერიტორიის ეთნიკური ათვისება ეროვნული ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი ხერხია. ეს იცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დიდმა დავით აღმაშენებელმა. სულ რაღაც 150 წლის წინათ ამერიკაკავკასიაში ქართველთა რიცხვი აღემატებოდა ყველა დანარჩენ ეროვნებას ერთად აღებულს! მრავალშვილიანობა იყო ჩვენი სიმტკიცის საფუძველი. მარტო მარაბდის ომში მოკლეს ცხრა ძმა ხერხეულიძე, შვიდი ჩოლოყაშვილი, ცხრა მამაჩაბელი, ხუთი ანდრონიკაშვილი... არც ერთი ეს გვარი არ გადაშენებულა, მაშინ, როცა უძიროდ ამოვარდა ერთი შვილის შემყურე ხორნაბუჯელთა ძველთაძველი საგვარეულო! ახლა ტყვეთა გაყიდვა! მარტო გურია-სამეგრელოდან ყოველწლიურად 10—12 ათასი ბავშვი გაყავდათ გასაყიდად. დიდი იყო პირადი მაგალითის ძალაც. ერეკლე მეფეს 24 შვილი ჰყავდა, მის ვაჟს გიორგი მეთორმეტეს — 18.

სიტყვა გაგვიგრძელდა. კარგია კომფორტი, ლამაზი ცხოვრება, მაგრამ საქართველოზე საყვარელი არაფერია. მაინც, სად გვესახება გამოსავალი? ეს ჩემი პირადი აზრია და შესაძლოა არც დამეთანხმოთ. საჭიროა კაცების გამოფხიზლება კანონის ძალით. გვეყოფ ამდენი „კეცა“ (ეს ქიზიყური გამოთქმაა) და „ბერბიჭა“, „შინაყუდა“ მათ გასაგონად უნდა ვთქვათ, რომ 1800 წელს ჩვენი მოსახლეობა იყო 675 ათასი კაცი და ქართველები ვიყავით 89 პროცენტი. 1970 წელს — 4688000 და ქართველები — 66,8 პროცენტი. ეს პროცენტი კიდევ უფრო მცირეა 1979 წლის აღწერის მონაცემებით.

გამოსავალი ვახსენეთ:

1. დემოგრაფიული პროცესების ¡ სახელმწიფოებრივი (უფლებრივი) მართვა. საქართველოში ქართული ენა იყოს მიმდინარე გლობალურ პროცესებზე პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების სუბიექტიც და ობიექტიც.

2. ქორწინების ასაკი. საბჭოთა საქართველოში საქორწინო სრულწლოვანების ასაკად იმთავითვე ქალისთვის დაწესდა 15 წელი, ხოლო ვაჟისთვის — 17 წელი, შემდეგ დადგინდა 16 და 18 წელი (საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსი). საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1959 წელს დაადგინა ორივე სქესისათვის 18 წელი. ახლა გადავხედოთ სხვადასხვა ქვეყნებს, ქორწინების მინიმალური ასაკია ამერიკის შეერთებულ შტატებში — 12—18, ესპანეთში — 12—14, იაპონიაში — 16—18, ინგლისში — 16—16, იტალიაში — 14—16, საფრანგეთში — 15—18, საბჭოთა კავშირში — 16—18 წელი.

რატომ მაინცდამაინც საქართველოშია 18 წელი? აზერბაიჯანში, სომხეთსა და უკრაინაში 1970 წლამდე ქალის საქორწინო ასაკი იყო 16 წელი.

საქართველოში ქალის საქორწინო ასაკი უნდა განისაზღვროს 16 წლიდან. ეს მარტო ჩვენი აზრი არ არის. ამას მოითხოვდა აკადემიკოსი პაატა გუგუშვილიც.

3. უნდა გაძლიერდეს ოჯახებისადმი დახმარება. არა დადგენილებებით, ქაღალდებითა და დაპირებებით, არამედ საქმით.

იულიუს კეისარი სახელმწიფო ფონდიდან მინას აძლევდა 3 და მეტ შვილის მამას, ოჯახი თავისუფლდებოდა ბეგარისაგან.

რომში უპირატესობა ეძლეოდა იმას, ვისაც მეტი შვილი ჰყავდა.

პლატონი ფიქრობდა, ვინც თავს აარიდებდა ქორწინებას, დაეჯარიმებინათ.

ლუდოვიკო XIV ედიქტი რამდენიმე წლით გადასახადისაგან ათავისუფლებდა იმას, ვინც 21 წლამდე დაქორწინდებოდა.

ოჯახის განმტკიცებისათვის თავისი სიტყვა უნდა თქვას ეკლესიამაც.

4. უნდა აიკრძალოს აბორტი სულ ცოტა 5—10 წლით. აბორტი არის „ბარბაროსული საშუალება“, რაც უნდა შეიცვალოს ჩასახვის საწინააღმდეგო უფრო კულტურული საშუალებით“ (პროფესორი სადვოკასოვა). ამერიკის შეერთებულ შტატებში აბორტი ნებადართულია მხოლოდ თვრამეტ შტატში. რეკომენდაციამდელ რუსეთში აბორტი აკრძალული იყო. 1920 წელს საბჭოთა მთავრობამ დართო აბორტის ნება, 1936 წელს ისევ აიკრძალა. 1955 წელს ისევ აიკრძალა. 1955 წელს გამოიცა ბრძანება აბორტის აკრძალვის გაუქმების შესახებ. უშვილობის 30 პროცენტი აბორტებზე მოდის.

საინტერესოა ვახტანგ V სამართლის წიგნი ამ საკითხზე: ქალს, რომელიც რაიმე წამლით შვილს მოიკლავდა მუცელში, ექსორია ენიშნებოდა. ქმარი მას მაშინვე უნდა გაშორებოდა. წამლის მიმცემს, თუ ის ღარიბი იყო, შეპყრობა, ცემა და ვირზე შესმა მოელოდა, ხოლო თუ მდიდარი იყო — დარბევა და გაძევება. თუ წამლის შემდეგ ქალი დაიღუპებოდა, დამნაშავეს თავს მოჰკვეთდნენ.

დღეს აუცილებელია როგორმე შეიცვალოს დემოგრაფიული სიტუაცია, ეს უნდა დაიწყოს რეგიონებიდან და როცა გამრავლება უმაღლეს წერტილს მიაღწევს, მაშინ ერთიანი საქართველოც გამრავლდება და გაძლიერდება.

ბეგლარ ნოზაძე

შენს დაბადებას
მზე ამოჰყვა ასე მეგონა,
და წუთისოფლის სიყვარული
გადამიმრავლდა.
შენ ჩემს იმედად მომევლინე,
ჩემო გოგონავ,
ნუ მიმატოვებ სიბერის ჟამს
სხვის ანაბარა.

დოდო ზურაბაშვილი

ზაზა იაშვილის ფოტო

ბავშვი რომ

ბავშვი რომ ჯანმრთელი დაიბადოს და ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი აღიზარდოს, საჭიროა დავიცვათ მისი ორგანიზმი სხვადასხვა მავნე ფაქტორების ზემოქმედებისაგან, რომლებიც დამღუპველად მოქმედებს მოზარდის ჯანმრთელობაზე.

შთამომავლობის ფიზიკურ და სულიერ განვითარებას ყველაზე მეტად აბრკოლებს ალკოჰოლი. ყველა ახლადშეუღლებულმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ალკოჰოლი და ჯანმრთელობა შეუთავსებელია. ის, ვინც ალკოჰოლითაა გატაცებული, არა მარტო თავის ჯანმრთელობას ანადგურებს, არამედ საკუთარ შთამომავლობას უქმნის დაკნინებისა და გადაშენების საფრთხეს.

ალკოჰოლის მავნებლობა უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. ჯერ კიდევ დიდი მკურნალი და სწავლული ჰიპოკრატე აღნიშნავდა, რომ „ლოთობა პირველი მიზეზია ბავშვთა სისუსტისა და ავადმყოფობის". ძალზე სახიფათოა ჩასახვის პერიოდში ალკოჰოლის მიღება მცირე დოზითაც კი. ამ შემთხვევაში ორსულობა ხშირად მთავრდება მკვდრადშობადობით, ან ბავშვი იბადება ფიზიკურად სუსტი და გონებრივად ჩლუნგი. როგორც ჩანს ეს ჭეშმარიტება კარგად იცოდნენ ძველ რომსა და საბერძნეთში და ამიტომაც რომაელ ახალგაზრდობას ღვინის სმა ეკრძალებოდა 30 წლამდე. საბერძნეთში კი მთვრალ მამაკაცს ცოლთან სქესობრივი ურთიერთობის უფლება კანონით არ ჰქონდა. ამავე კანონით მეფედედოფალს ქორწინების დღეს ღვინის დალევა არ შეეძლო.

საფრანგეთში დროსტარების შედეგად დაბადებულ მახინჯ პატარებს „კეირა დღის ბავშვებს" ან „მხიარული ვახშმობის ბავშვებს" უწოდებდნენ, რადგან ასეთი ბავშვების ჩასახვის დრო ემთხვეოდა დღესასწაულებს, როცა მშობლები ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ.

თანამედროვე გამოკვლევებისა და ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ ალკოჰოლიკებში ორჯერ მეტია ბავშვის დღენაკლულობა და მკვდრადშობა, სამჯერ მეტია ბავშვთა ნაადრევი სიკვდილიანობა, ნაყოფისა და ახალშობილის ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენა, ყრუმუნჯობა, ენდოკრინული ჯირკვლების მძიმე დაზიანება. ალკოჰოლის გავლენით ხშირად ვითარდება მთელი რიგი ნერვულ-ფსიქიკური დაავადებები: იდიოტიზმი, ჭკუასუსტობა, ნევროზი, ფსიქოპათია, თანდაყოლილი ანომალიები — თავის ქალის მხრივ — მიკროცეფალია, მიკროფტალმია, ზედა ყბის ძვლების განუვითარებლობა, სახის ძვლების დეფექტი, გულის თანდაყოლილი მან-

საკითხის დასმის ფესვით

ქორწინების ასაკის დადგენისათვის



საბჭოთა კანონმდებლობით ახალგაზრდების ქორწინება და ოჯახის შექმნა ნებადართულია მაშინ, როცა მათ შეუსრულდებათ 18 წელი (უკრაინისა და უზბეკეთის გარდა, სადაც ქალებს შეუძლიათ იქორწინონ 17 წლის ასაკში).

ქორწინება და ოჯახის შექმნა ამ ასაკში, როგორც ჩანს, ყველა რესპუბლიკისათვის ერთნაირად არ არის მიზანშეწონილი, არც სოციალურად და არც ბიოლოგიურად, ცნობილია, რომ გოგონები ერთი წლის ასაკიდან იწყებენ ლაპარაკს, ხოლო ვაჟები — მოგვიანებით. გოგონები ასევე სწრაფად ვითარდებიან ფიზიკურად და ვაჟებზე ადრე მწიფდებიან, მაგრამ ქალებისა და ვაჟების განვითარება, ამ შეფარდების დაცვით, ერთნაირი არ არის დედამიწის ზონებისა და მხარეების მიხედვით. მაგალითად, თბილი და ცხელი ქვეყნის ახალგაზრდები უფრო სწრაფად ვითარდებიან ბიოლოგიურადაც და სოციალურადაც. ამიტომ ქორწინებისა და ოჯახის შექმნისათვის ასაკის დადგენისას ანგარიში უნდა გაეწიოს ამ ფაქტორს.

ახლა შევეხოთ სოციალურ პირობებს, თუ როგორ შეესაბამება იგი საქართველოში ახალგაზრდობის დოჯახებისათვის დადგენილ ასაკს:

ახალგაზრდები არასრული საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სწავლას აგრძელებენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანმრთელი დაიბადოს

კი, გარეთა სასქესო ორგანოების ანომალიები და სხვა.

დედის ლოთობა ყოველთვის სახიფათო სიტუაციას ქმნის ნაყოფისა და ბავშვის ორგანიზმის ნორმალური ფორმირებისათვის.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს ფრანგმა ექიმმა დემიემ შეისწავლა ალკოჰოლიკთა შთამომავლობა და დაადგინა, რომ ბავშვთა 50 პროცენტი იღუპება ნაადრევად. ცოცხლად დარჩენილთა 10 პროცენტს აღენიშნება ეპილეფსია და ტვინის წყალმანკი, 12 პროცენტი იზრდება იდიოტად და მხოლოდ 10 პროცენტი რჩება ჯანმრთელი. ძუძუს წოვების პერიოდში ნებისმიერი ალკოჰოლიანი სხმელის მიღებისას ალკოჰოლი ბავშვების ორგანიზმში ხვდება დედის რძის საშუალებით, რაც იწვევს ბავშვის ცენტრალური ნერვული სისტემის და ფსიქიკური სფეროს დაზიანებას, ფიზიკური და გონებრივი განვითარების შეზღუდვას, საჭმლის მომნელებელი ორგანოების — ღვიძლის, თირკმლების, გულსისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებას.

ხშირად რძის მომატების მიზნით მეძუძური დედა სვამს ღვინოს, ლუდს, რაც ძალზე საშიში და ყოვლად დაუშვებელია, რადგან ამის შედეგად ბავშვს უვითარდება კრუნჩხვები, ზოგჯერ ეპილეფსიური გულყრებიც. იქ, სადაც გავრცელებულია ქალთა ალკოჰოლიზმი, ძუძუმწოვარ ბავშვებში გაცილებით მეტია ავადობა და სიკვდილიანობა, ვიდრე ხელოვნურ კვებაზე მყოფ ბავშვებში. მეძუძური დედა, რომელსაც სიკეთე სურს თავისი პირმშოსათვის, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეტანებოდეს ალკოჰოლს.

მამის ლოთობა კი, გარდა იმისა, რომ უბედურებას უქადის შთამომავლობას, ოჯახს აყენებს მორალურ და მატერიალურ ზარალს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლოთების ოჯახებში ბავშვებს ადვილად აღეძრებათ ხოლმე ალკოჰოლის მღლების სურვილი და იოლადაც ეჩვევიან სმას.

ლოთობასთან საბრძოლველად მარტო სახელმწიფოებრივი ღონისძიებები როდი კმარა.

ამ მავნე ჩვევის წინააღმდეგ საჭიროა უკომპრომისო ბრძოლა მთელი ჩვენი საზოგადოებისა. მისი წმიდათა წმიდა ვალია დაიცვას შთამომავლობა ალკოჰოლის დამღუპველი გავლენისაგან.

ნ. უმიკაშვილი.

პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში, რესპუბლიკის მთავარი პედიატრი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი.

სკოლებში ან პროფესიულ სასწავლებლებში (რადგან ჩვენთან აუცილებელია საშუალო განათლების მიღება) ხოლო საშუალო განათლების მიღების შემდეგ, უსრულდებათ 17 წელი და სწავლას აგრძელებენ უმაღლეს სასწავლებლებში ან ებმებიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ბუნებრივია, ამით ძალზე უმცირდებათ თავისუფალი დრო, რომელიც აუცილებელი პირობაა დაქორწინებისა და ოჯახის შექმნისათვის. ამიტომაც ახალგაზრდებს თანდათანობით უგვიანდებათ ოჯახის შექმნა და ნაწილი დაუქორწინებელი რჩება.

საშუალო განათლების მქონე, პროფესიას დაუფლებული და საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმული ახალგაზრდები, რომლებსაც გარკვეული სიძნელეებს ან სირთულეების გადალახვა მოუხდათ, ხდებიან საკმაოდ ნერვიულები, განსაკუთრებით გოგონები. მათ უმუშავდებათ ინდივიდუალური ხასიათის თავისებურებები, რაც ოჯახის შექმნის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში იწვევს ცოლ-ქმრთა ხასიათების ურთიერთშეუგუებლობას და მიმართავენ ხოლმე სათანადო ორგანოებს განქორწინებისათვის (აქ არ ვეხებით ეკონომიურ პირობებს, მის უდიდეს მნიშვნელობას ოჯახის შექმნისა და განმტკიცების საქმეში). არადა, ყველასათვის ნათელია, თუ რა მძიმეა დაუოჯახებლობა ან განქორწინება იმ ერებისათვის, რომელთა მოსახლეობა მცირერიცხოვანია.

ვფიქრობ, კომენტარი არ სჭირდება იმას, რომ ქორწინებისა და ოჯახის შექმნისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს სათანადო პირობები (ამ მიმართულებით გადამწყვეტ ღონისძიებებს მხოლოდ ახლა ეყრება საფუძველი).

ახლა ორიოდე სიტყვა ქართული ტრადიციის, ოჯახის შექმნისა და ერის გამრავლების შესახებ:

ტრადიციულად, უწინ ქართულ ოჯახში, გოგონებს არ ავალებდნენ მძიმე და სანერვიულო საქმეს. ისინი ოჯახურ პირობებში სწავლობდნენ ხელსაქმეს, კულინარიას, ვაჟებთან, შედარებით არც სწავლით იყვნენ ძალიან დატვირთულნი. და ამიტომ ქორწინდებოდნენ 15-16 წლის ასაკში. სამაგიეროდ, აჩენდნენ—ჯანსაღ, ყოველმხრივ ძლიერ ბავშვებს, ჭკონდათ რძე და ბუნებრივად კვებავდნენ ჩვილებს საერთო კვებაზე გადასვლამდე. უწინ შობადობას შორის ნორმალურად ითვლებოდა 2-3 წლის ინტერვალი. ამჟამად კი ქართული ოჯახის ტრადიციის სოციალური და ბიოლოგიური მხარე დარღვეულია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომდინარე გარდაქმნები ამ სფეროსაც შეეხება და შექმნის საფუძველს, აღდგეს ბევრი კარგი ტრადიცია, გაუმჯობესდეს ახალგაზრდობის მიერ დროული, მტკიცე ოჯახის შექმნისა და ერის გამრავლების საქმე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხის დასმის წესით ვაყენებ წინადადებას, რომ საქართველოს ქორწინებისა და ოჯახის კანონმდებლობაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. გოგონებს, რომლებსაც შეუსრულდებათ 16 წელი და აიღებენ პასპორტს, მიეცეთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება: ვაჟებისათვის ძალაში დარჩეს 18 წლის ასაკი.

ახალგაზრდების ქორწინებისათვის ასეთი ასაკის უფლებამოსილება ხელს შეუწყობს იმ დემოგრაფიული ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც დასახული აქვს ქართველ საზოგადოებრიობას, რესპუბლიკის ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს.

იროდიონ ცქვიტინიძე,

სახალხო განათლების წარჩინებული პედაგოგი-მეთოდისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს მერიდიანებზე

თანამედროვე ჩინური ქალი

მე მითხრეს, რომ თქვენი ნარკვევებათვის სრულიად ჩვეულებრივი ჩინელი ქალი გჭირდებათ. ალბათ, მე ამ მოთხოვნას ვაკმაყოფილებ: ჩემნაირები ჩინეთში მილიონობით არიან, — დაიწყო ე ხემ; 44 წლისა ვარ, აღმზრდელად ვმუშაობ საბავშვო ბაღში. მყავს ქმარი; ჩვენი ქალიშვილი, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ 17 წელი შეუსრულდა, მოსწავლეა. ერთად ვცხოვრობთ ჩემი ქმრის მშობლებთან და ძმისწულთან, რომლის დედ-მამა სამუშაოდ სხვა პროვინციაში გადავიდა. საბავშვო ბაღში სამუშაოზე მე, ისევე როგორც ჩემი კოლეგების უმრავლესობა, განაწილებით მოვხვდი, როცა 1962 წელს დავამთავრე სკოლამდელ დაწესებულებათა აღმზრდელების მოსამზადებელი სასწავლებელი. მას შემდეგ სამუშაო არ გამომიცვლია, საერთოდ, ეს ჩვენში მიღებული არ არის. ქვეყანაში სამუშაო ადგილები არ გვყოფნის, და ყველა, ვისაც ასეთი ადგილი აქვს, ცდილობს როგორმე შეინარჩუნოს პენსიაზე გასვლამდე. ჩემი საქმე მიყვარს, ბავშვები ხომ ჩვენი მომავალია. მათი აღზრდა საჭირო და საპატიო საქმეა, მაგრამ, რა დასამალია, ძნელიც არის. თუმცა ოფიციალურად სამუშაო დღე 8 საათს გრძელდება, ხშირად 10-12 საათს ვრჩები ხოლმე.

— დასვენების დღეებს როგორ ვატარებთ? ძირითადად, შინ ვტრიალებ. მე ხომ მხოლოდ ერთი უქმე დღე მაქვს — კვირა. ერთი კვირის მანძილზე შინ უამრავი საქმე გროვდება: სარეცხი, დალაგება, საკერავი, ერთი სიტყვით, ქალს საქმეს რა გამოულევს... ქმარი რა თქმა უნდა, მეხმარება. მაგრამ ძირითადად ეზოში. აი, ამ ცოტა ხნის წინათ სამზარეულო მოაშენა სახლს, მართალია, პატარაა, მაგრამ მაინც მოშორებულია საცხოვრებელ ოთახებს. სარეცხი მანქანაც გვაქვს, მაგრამ ქმარი რეცხვას ვერ შეეჯიბრე. ბაღში სასეირნოდ იშვიათად თუ წავალთ, დღესასწაულის დღეებში.

დინჯად, მშვიდად ვსაუბრობთ. არ მინდა რთული შეკითხვით დავაბნიო, ისე კი, მაქვს ასეთი კითხვები. ამ ბოლო ხანს ჩინურ პრესაში ბევრს წერენ სიძვირის პრობლემებზე. იგივე საკითხი იყო სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ამასწინანდელი სესიის ყურადღების ცენტრში. ეს ბუნებრივია. შარშან ხომ ხორცი, ფრინველი, კვერცხი და ბოსტნეული 16-17 პროცენტით გაძვირდა, წლეულს სამ თვეში — კიდევ 20-40 პროცენტით. ქალაქელები უჩივიან გლეხებს, განზრახ ბერრავენ ფასებსო, გლეხები კი, თავის მხრივ, უკმაყოფილონი არიან, რომ სწრაფად მატულობს სასოფლო-სამეურნეო იარაღის ფასები, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესასყიდი ფასები კი ძალზე მცირეაო. მე ეკონომისტებთან და მუშებთანაც მისაუბრია. ყველანი აღიარებენ, ფასების მოწესრიგებას რეფორმა სჭირდებაო. მაგრამ რეფორმამ შეიძლება საცალო ფასები გაზარდოს, რასაც მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვება. როგორ განახორციელონ ეს რეფორმა ისე, რომ ამასთანავე უზრუნველყონ მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლება?

როცა ამაზე ავლაპარაკდი ე ხესთან, მას თავი არ აურიდებია ამ თემისათვის, პირიქით, საგრძნობლად გახალისდა.

— სიძვირის პრობლემა, რაღა თქმა უნდა გვაწუხებს. ეს ხომ, უწინარესად, ჩვენს კისერზეა, უბრალო ადამიანების კისერზე გადადის.

საუბარში ჩაერია ე ხეს დედამთილი ჯოუ ძინუი. ეტყობა, ოჯახს ის უძღვება.

— აი, ჩვენს ოჯახს თვეში დაახლოებით 600 იუანი შემოსავალი აქვს. ეს ცოტა არ არის, წინანდელთან შედარებით მაინც. მაგრამ ახლა თითქმის სულ გვეხარჯება. ბედმა გაგვიღიმა, სარეცხი მანქანის და ტელევიზორების (სამი ტელევიზორი გვაქვს, რომ სამივე თაობამ სხვადასხვა პროგრამით თავის საყვარელ გადაცემებს უყუროს), ყიდვა მოვასწარით. ახლა ფულის შეგროვება ბევრად გაჭირდა, თანაც გაითვალისწინეთ, რომ საკუთარ სახლში ვცხოვრობთ და ბინის ქირას არ ვიხდით.

— სად არის გზა ხსნისა... — განაგრძობს ე ხე. — მე ეკონომისტი არა ვარ, ამ საქმეს სპეციალისტებმა უნდა მოჰკიდონ ხელი, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ სრულიად ჩინეთის კრების სესიაზე ბევრი საინტერესო წინადადება გამოითქვა. სხვათა შორის, ჩვენ, განათლების სფეროს მუშაკებს გვაწუხებს, რომ მცირე ხელფასები გვაქვს. იმისათვის, რომ დავაწინაუროთ ქვეყნისათვის ძალზე საჭირო საქმე — ახალგაზრდა თაობის აღზრდა და სწავლება, უნდა გავზარდოთ მასწავლებლებისა და აღმზრდელების აქტიურობა.

სახეზე კეთილი ღიმილი აუთამაშდა ე ხეს, როცა სიტყვა მის გოგოზე ჩამოვარდა.

— ყველაზე მეტად რა მაწუხებს? ცხადია, მისი მომავალი. ძალიან მინდა, მშობლების გზას დაადგეს და მასწავლებელი გახდეს. მაგრამ არ უნდა, ასე ამბობს, ხომ ვხედავ, რა დღეშიც ხართ, შინ რომ ბრუნდებით, სახალაო მეცადინეობისათვის ემზადებითო. რა ვქნა, თავისი ნებაა, ჩვენ კი დავეხმარებით. ცხადია, სახელმწიფო ხარჯზე ისწავლის, და არა საკუთარ ხარჯზე — ეს ახალი პრაქტიკა ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.

სტუმართმოყვარე დიასახლისმა თავისი სახლი დაგვათვალიერებინა. ოთხი ოთახია. ქვანახშირით თბება, ყოველ ოთახში თითო ღუმელია. ქვანახშირს სახელმწიფო მუქთად იძლევა. სამზარეულოში ბალნიანი გაზის ქურა დგას. შემდეგ ეზოში ე ხემ ამაყად გვიჩვენა თავისი ქმრის ნახელავი: უცნაური თევზებით სავსე თვითნაკეთი აუზები და უზარმაზარი ლითონის როფები, გლეია და ფრინველები, რომლებიც ათასნაირ ხმაზე გალობენ.

— ჩემი ქმარი მასწავლებელია, ფიზკულტურას ასწავლის საშუალო სკოლაში. თვე-

ზებისა და ფრინველების გარდა, ძალზე უყვარს ფეხბურთი. ერთმა ჩემმა მეგობარმა ქალმა გამაცნო. დიდხანს მეარშიყებოდა. ბევრი რამ გვაერთიანებს, მაგრამ უწინარესად — მუშაობა, საერთო პრობლემები და მიზნები. პირადად მე ძალზე მიყვარს მუსიკა, ცოტ-ცოტა თვითონაც ვუკრავ პიანინოს.

— მაგათმა თაობამ ტრადიციები დაარღვია, მშობლებს აღარ უჯერებდნენ, თვითონ ირჩევდნენ მეუღლეს, — ხუმრობით დატუქსა რძალი დედამთილმა. — ჩვენს დროში სხვაგვარად იყო. მშობლები მოილაპარაკებდნენ და ქორწილიც გაიმართებოდა. ზოგჯერ სიძე-პატარძალი ქორწილამდე არც კი იცნობდა ერთმანეთს. ასეთი ტრადიცია ჯერ კიდევ არის ხალხში, განსაკუთრებით სოფლად. რა თქმა უნდა, არ ვარგა ასე.

ვეკითხები, რას აკეთებდით ყბადაღებული „ქაოსის ათწლეულის“ დროს მეთქი. (ასე უნდოდებენ ჩინეთში „დიდ პროლეტარულ კულტურულ რევოლუციას“).

— მე თითქმის არ შემხებია. საბავშვო ბაღები ხომ მაშინაც იყო საჭირო, რათა კადრებს მიტინგებზე და კრებებზე ეცლოთ. თუმცა თავმჯდომარე მაოს გამონათქვამების დაზეპირებას და ლოზუნგების გამოკვრას ჩვენც გვაძლევდნენ. „ასეთი დრო იყო...

დღეს ჩინეთში ქალთა განათლების დონე უფრო მაღალია, ვიდრე კაცებისა. ბევრნი საკაცო საქმეს აკეთებენ. დიდი სამრეწველო საწარმოების საამქროთა ოსტატებად, ტაქსისა და სარეისო ავტობუსების მძღოლებად, დიპლომატებად მუშაობენ... ახლა არ არსებობს პრიფესია, რომელსაც ჩინელი ქალები არ ეუფლებოდნენ. ჰოდა, ვინ არ იცის, რომ ჯერ კიდევ 40 წლის წინათ ჩინელი ქალი „მეორე ხარისხის“ ადამიანად ითვლებოდა.

შეგვიძლია თუ არა, ვილაპარაკოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ქალთა სრულ ემანსიპაციაზე? ეს საკითხი ბევრჯერ აღძრულა ჩინეთის პრესაში. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ქალს უფრო უჭირს სამუშაოს შოვნა, ვიდრე კაცს.ამის დასტურია მკითხველთა უამრავი წერილი, რომლებსაც გაზეთები და ჟურნალები იღებენ. ეს საკითხები სრულიად ჩინეთის ქალთა ფედერაციის ცენტრშია, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის მშვენიერი ნახევრის ინტერესთა სადარაჯოზე დგას.

ჭიშკართან გულთბილად გამოვეთხოვეთ სტუმარმმოყვარე მასპინძლებს. ხელი რომ ჩამომართვა, მასპინძელმა მოხოვა, „შემოიარეთ ხოლმეო“. მართალი გითხრათ, ხალისით შევივლიდი: განსასიამოვნო არ არის ტკბილმოუბარ დ კარგ ადამიანებთან შეხვედრა!

ბენადი კრიკოშეეი.

საკდისის კორ.

პეკინი

გამოსათხოვარი

„იმ ავბედით ღამეს, ჩემს ფანჯრის წინ სიკვდილის მოციქულივით გარინდებულ ტანკს რომ ვუცქერდი, მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრება დამთავრდა, მივხვდი რომ აღარაფერი გამახარებდა 9 აპრილის მერე და დავინახე კიდეც იმ ტანკიდან ჩემსკენ დაძრული სიკვდილი“.

ეს ჟურნალისტ კირა კვეიძის გულით ამონათქვამი უკანასკნელი სტრიქონებია, მან ანდერძი რომ უწოდა და გაზეთ „თბილისში“ ნეკროლოგის მაგიერ გამოქვეყნდა.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი ჟურნალისტი, დიდი შემართებისა და ამაღლებული სულის ქალი, რომელსაც ცხოვრების შუაგზაზე შემოაღამდა. მეტეორივით ჩაიქროლა კირას ლამაზმა სიცოცხლემ და ადამიანებში დატოვა მისდამი ღრმა პატივისცემა და სიყვარული.

კირა კვეიძის კალმით დახატული გმირები თეატრის, კინოს, ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი, ჩვენი თანამედროვენი არიან. იგი სიყვარულით წერდა ქალზე, დედაზე, ერთნაირად აღელვებდა მათი საზოგადოებრივი არსი, დედობრივი ვალი, სულიერი სამყარო და შემოქმედება. კირას ადამიანის სულის სიცოცხლის მარადიულობა სწამდა. იგი ხარბად ეწაფებოდა ყოველივე ახალს და მთელი არსებით იღვწოდა მის დასანერგად.

ჟურნალისტიკა, პოეზია იყო მისი ტრფიალი, მაგრამ ლექსთა კრებული დარჩა დაუსტამბავი — სიცოცხლეში ვერ მოასწრო სამზეოზე გამოტანა.

ხშირად შემოაღებდა ჩვენი რედაქციის კარს. უყვარდა ქალთა ჟურნალი და ჩვეულ ღიმილს ყველას შემოგვაჭეშებდა. მხატვრულ ნარკვევს მორიდებით შემოგვთავაზებდა. მისი ნაწერები ყოველთვის დაუმადლებლად და სიყვარულით იბეჭდებოდა.

„სცენაზე ლამაზი სიცოცხლეა“ — კირამ ლადო მესხიშვილის სახელმწიფო თეატრის მსახიობის ქეთევან კოლხიდელის მშვენიერი პორტრეტი დახატა; „ქალაქი სკოლით იწყება“ — თელავის № 1 საშუალო სკოლის 225 წლის იუბილეს უძღვნა. ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული, ავტორ-იუმორისტის მზია კვირიკაშვილის საღამო ჩვენი ჟურნალის შარშანდელი ივლისის ნომერში ბატონვნად ასახა. შემდეგ კი კანტიკუნტად გამოჩნდებოდა. ვერ იყო ჯანმრთელად და მხოლოდ ძლიერი ნებისყოფით ეჭიდებოდა ავადმყოფობას. მისი ნათელი გონება ახალ თემებს ხარბად ეწაფებოდა. მუდამ საქმიანობაში ჩართული თანდათან იხარჯებოდა. წლევანდელ ივლისში კი მისი გულისცემა შეჩერდა.

ულმობელმა სიკვდილმა არ შეიწყნარა, რომ ბოლომდე ეთქვა სათქმელი. წვიდა ჩვენგან დიდებული ადამიანი, მოყვასის ტრფიალი, ჩვენი უახლოესი თანამდგომი და მეგობარი.

„მე საქართველოს მიწა მელოდება და, მისკენ მივიჩქარიდი. უნდა მოვახერხო და ჩემებურად, უხმაუროდ მოვეფერო, ნაიარევი მკერდი დავუამო“. ეს მისი ანდერძის სტრიქონებია. მსუბუქი იყოს მის მკერდზე დაფრქვეული ქართული მიწა. კოლეგებისა და მეგობრების ხსოვნაში მარად დარჩება საქართველოს სიყვარულში დაფერფლილი დიდი გულის ქალი.

ეთერ ჭუთათელაძე

6 195/130

ნამცხვრები

„ბანანი“

მასალა ცომისათვის: 200 გრ კარაქი, 200 გრ არაჟანი, 1 ჩაის კოვზი სოდა, ორნახევარი-სამი ჩაის ჭიქა გაცრილი ფქვილი;

მასალა ცომის გულში ჩასადებად: 5 ცალი საშუალო ზომის ვაშლი („ანტონოვკა“), 1 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი, 1 ჩაის კოვზი ფქვილი, 1 ჩაის კოვზი არაჟანი, ლიმონმჟავა — დანის წვერით.

დარბილებულ კარაქს შევურიოთ არაჟანი, კარგი არევის შემდეგ დავუმატოთ სოდა და თანდათან შევაზილოთ ფქვილი. მზა ცომი გავაბრტყელოთ ფქვილმოყრილ ფიცარზე, ამოვჭრათ თხელი ჩაის ჭიქით და გავაბრტყელოთ. თითოეულ მრგვალ, გაბრტყელებულ ცომზე მოვათავსოთ 1 სავსე ჩაის კოვზი გახეხილი ვაშლი (რომელშიც შერეული იქნება ყველა ის მასალა, რაც ჩამოთვლილია ცომის გულში ჩასადებად). ცომი გადავახვიოთ და ბოლოები შევუწებოთ ისე, რომ იქიდან სატენი არ გამოვიდეს. მივცეთ ცომს ბანანის ფორმა, ოდნავ მოვღუნოთ, დავაწყოთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ საცხობ ტაფაზე და შევდგათ საშუალო სიმხურვალის გაზქურაში. გამომცხვარს გაცივების შემდეგ მოვაყაროთ შაქრის „პუდრი“.

„ალამი“

200 გრამი კარაქი ან მარგარინი გავადნოთ ნაზ ცეცხლზე (არ ადუღდეს), გავაცივოთ, დავუმატოთ 2 ჭიქა შაქრის ფხვნილი, 3 კვერცხი, 100 გრამი შერბილებული კარაქი, 2 ჩაის ჭიქა მაწონი, 1 სუფრის კოვზ ძმარში გახსნილი 1 ჩაის კოვზი სოდა; შევაზილოთ იმდენი ფქვილი, რომ გუნდების მომზადებისას იგი ძალიან რბილი არ იყოს (არც მაგარი); დავაწყოთ ფქვილმოყრილ ტაფაზე და შევდგათ საშუალო სიმხურვალის გაზქურაში. გამომცხვარი ნახევარ-გუნდები (ორ-ორი) შეავერთოთო, შევაწებოთ ერთმანეთთან ჯემით. მოღებული ატმები შევაფერადოთ ალუბლის ან შინდის მურაბის წვენით. რომ შეშრება, მოვაფრქვიოთ ზემოდან შაქრის „პუდრი“.

ნინო გეფანიშვილი

ვანო ცინცაძე

უცოლოს გასაჭირი

ცოლი-მეთქი... ერთი ვთქვი და ყველა შემომესია.
გასათხოვარ გოგონების შემიდგინეს ჯერ სია.
შინაურებს შევეკითხეთ, როგორც ადათ-წესია,
მეზობლებიც მოვიწვიეთ, მითხრეს — უკეთესია!
ნათლულებიც მომიყვანე! — მეუბნება ბებია,
გაიმართა დარბაზობა, სათათბიროდ სხდებიან.
სათითაოდ კითხულობენ, ვინც ჰყავთ კანდიდატებად,
ბმის სიმცირით ვინც ვერ გავა, სიას გამოაკლდება.
სუყველანი გადაიცვნენ ქადაგად და სიტყვებად,
მე ვინ მიყვარს, ან ვინ მომწონს, არვინ არ მეკითხება.
დაიწუნეს ერთი, ორი, აი, უკვე — მესამე,
ბიცოლები, დეიდები ყველას ენით გესლავენ.
ნათელა სულ გაგაშავეს, მზია გაგაბითურეს,
ზოგს სიარულს უწუნებენ, ზოგს კი — ქვედა კიდურებს.
ზოგის სახე არ მოსწონთ და ზოგის — გავლა-გამოვლა,
სულ მიწასთან გაასწორეს, ხან ლელა და ხან — ლოლა...
მე ხმის ნება ჯერ არა მაქვს, (რა ვქნა, ეხეც წესია!)
მთელი კვირა ვისმენ წყნარად ათას ამგვარ ლექციას.
— სათოფეზე არ დაგლანდოთ მანანასთან — იმ თხასთან,
ალარ არის მაგი სანდო, დოუნახავთ ვინცხასთან!
— იამზე რომ ქაჩავს თვალებს, არ გაგისკდეს ქვესკნელი,
თავის დიპლომს ვის ახარებს? ფეხები აქვს სქელ-ქსელი!
— დავიფიცებ, სახე თუ მე არ მომწონდეს ნატახი,
მაგრამ სახლში არის თურმე უმეური და კაპახი!
ნეტავ რით დავიწუნებდით ინტელიგენტ დარიკოს,
დედამისი დაბალი და ცხვირგრძელი რომ არ იყოს?
— ლუიზაზე უარს ახა ვინ ეტყოდა კოწიას?
თვით ლუიზა მომწონს, მარა მისი ძმა რომ კოკლია?
— ჩვენს უბანში, მოსაწონი, ტარიელის ლენაა,
მაგრამ მაგი მოსასპობი, ცარიელი ენაა!
— თავი მოაქვს მუდამ ქეთოს თავის „ვოლგის“ ბრეკეტალით,
ჩვენს ანგელოზს უნდა შევრთოთ ნასწავლი და ჭკვიანი!
— შეზე, შეზე, ვინ მიხსენა? მეტიჩარა ციცინო!
ეგ მაკლია, ახლა, ქალო, მეზობლებმა იცინონ!
— ახა, არც შენ არ ახსენო ყანჩასავით გულნარა,
ერთი ქე მყავს სახლში, შვილი ზარმაცი და უქნარა!
— ლამაზსა და კოხტა ნანას არ ვუწუნებ არაფერს,
მაგრამ, ისე, ჩვენში დარჩეს, მაგი ცოტას არ აფრენს?
და დადგინდა, რადგან ნაკლი, აქვს ნინოს, თუ თამარის,
თითქოს ჩემი შესაფერი ალარავინ არ არის,
თითქოს მარტო მე დავდივარ ამაყად და ქედულად,
თითქოს ჩემი საკადრისი არვინ დაბადებულა...
იწუნებენ ნონას, ნუნუს, სონიას და მანიას,
ამიტომაც, დღემდე ცოლი ვეღარ მომიყვანია!

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54. მასალები გადაეცა ასაწყობად 02.08.89 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 09. 89 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8. ტირაჟი 173.000. შეკვ. 1814. უე 04692 Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: ბრიჯიდ ბარდო.

კინოს დაუბრუნდა

55 წლის ცნობილმა ფრანგმა მსახიობმა ქალმა ბრიჯიდ ბარდომ თხუთმეტი წლის წინათ მიატოვა კინემატოგრაფი. ახლა იგი კინოს უბრუნდება მხოლოდ იმიტომ, რომ ოთხი ნაწილისაგან შემდგარი ტელესერიალი, რომელშიც მას გადაღება შესთავაზეს, ეხება ისეთ საჭირბოროტო პრობლემას, როგორიც არის ტყის მინადართა დაცვა. ფილმს ეწოდება „ხოს-ცხოველები“.